# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 10 აპრილი 2006 №79 (2701) ფასი 50 თეთრი



## ყაზარმული ეროვნული

ათვლის წერტილი 2 სექტემბერია

## საქართველოს ნახევარი მალტაშია



არველაძემ არველაძეს ჩააკითხა, ტოპმიოლერი მინგეს ჩააკითხავს

# საქართველომ აფრიკა ჩოგანზე დატოვა პოლონერთიც და...




*სამხრეთ აფრიკის უძლიერეს მეჩოგნე ვესლი მუდს წყვილებში უიმბლდონი მოუგია და იქნებ სხვა რამ წვრილმანი ტურნირიც, მაგრამ სპორტის სასახლეში ქართველებთან სადევისთასო შეხლაში მან ერთეულებში მეტი ფხა გამოიჩინა — პარასკევს ლადო ჩიხლაძე დაგვიმარცხა, კვირას კი ირაკლი ლაბაძე. ქართულ ჟინთან და ეისებთან შეჯახებულმა აფრიკელებმა მეტი ვერც ვერაფერი მოახერხეს. ლაბაძემ და ჩიხლაძემ მონაცვლეობით დაჩოგნეს ახმახი სტუმარი იზაკ ფან დერ მერვე, შაბათს კი წყვილთა მატჩში ჩოგანშეწყობილად დაჩაგრეს ეს ჩვენი ქებული მუდი თავის მეწყვილითურთ. საბოლოოდ 3:2 და საქართველოს ნაკრებმა მძლავრი მეტოქის ძლევით მეორე ევრო-აფრიკულ ჯგუფში ადგილი შეინარჩუნა, ხოლო თუ ივნისში სამხრეთ აფრიკაზე სუსტ პოლონეთსაც აჯობებს, პირველ ევრო-აფრიკულ ჯგუფში აინაცვლებს.*



## პიდინკამ პსვ გააჩემპიონა

## მუსლინმა ლოკო დეპოში გაუშვა



13




## რეალი უკვე საბავშვო ბაღია?

15

# პირველი სერია და პირველი ფინალისტი?




ესეც ნახევარფინალების პირველი სერია: ბოლნისშიც და მცხეთაშიც თამაშები იყო, ნუ იტყვით... „ზესტაფონმა“ ორი კვირის წინანდელი გაიმეორა და საქართველოს ძველ დედაქალაქში „ვიტ ჯორჯიას“ ამჯერად სათასო მატჩი მოუგო 2:1. თან ფეროელებმა ეს საქმე ზურაბ იონანიძისა და გიორგი განუგრავას გარეშე მოაკვარახჭინეს და ფინალისკენ მოზრდილი ნაბიჯი გადადგეს. უფრო ძნელი გამოსაცნობია ფინალისტი მეორე წყვილში — „ამერმა“ ბოლნისიდან 0:0 წამოიღო, თუმცა ეს ის ანგარიშია, პროგნოზის საშუალებას რომ არ იძლევა. „თამაზ სტეფანიაზე“ ბრძოლა ხომ იყო და, ნერვიულობაც, იცოცხლეთ... ჩხუბი მოედანზე, ტრიბუნაზე, გაწევ-გამოწევა ნამატჩევს... ვნახოთ, მეორე სერია უფრო საინტერესო ამბებს გვპირდება...

„სიონი“ — „ამერი“ 0:0. თბილისელი ლადო ნადირაშვილის ნახტომების ცქერა ერთ რამედ ღირდა

# ყაზარმული ეროვნული

**დღეს თბილისის მერია ოფიციალურად გამოაცხადებს ეროვნულ სტადიონის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული კონკურსის შედეგებს. მასში ერთადერთი ორგანიზაცია, სპორტსაზოგადოება „დინამო" მონაწილეობდა და კონკურსის შედეგიც, ფაქტობრივად, ცნობილია. როგორც აღმოჩნდა, არამხოლოდ კონკურსის შედეგი, მუშაობაც „ნინმსნრები გრაფიკით" მიდის. ამის თაობაზე სპორტსაზოგადოება „დინამოს" აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი მეძმარიაშვილი გვესაუბრა...**



## ათვლის წერტილი 2 სექტემბერია

— ლაპარაკია ეროვნული სტადიონის მართვის უფლებით გადმოცემაზე 30-წლიანი ვადით. ძალიან დიდ ინვესტიციას ვაკეთებთ, პირველ ეტაპზე სამ მილიონზე მეტი დაიხარჯება. დაუმატეთ ამას მილიონ ლარზე მეტი, რომელიც სტადიონს ბიუჯეტისა მართებს. ეს თანხაც ჩვენი დასაფარია, თუმცა მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომ ვალი გარკვეული დროის განმავლობაში გაიყინოს.

**— თუ გაქვთ გეგმა, რა სამუშაოების ჩატარებაა აუცილებელი პირველ ეტაპზე?**

— რა თქმა უნდა. არაფერს ვამბობ მინდვრის საფარის შეცვლასა და ინდივიდუალური სკამების მონტაჟზე. ამას გარდა, 137 ათასი კვადრატული მეტრია შესაღები. მინიმალური 10 დოლარიც რომ ვიანგარიშოთ, ძალიან დიდი თანხა გამოდის. ჩასატარებელია ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები, დასამატებელია განათება, მოსაწესრიგებელია დამხმარე სათავსოები, არასაკმარისია საპირფარეშოების რაოდენობა და საამისოდ შესაძლოა პირველი იარუსის კიბეების ქვემოთ არსებული ფართი გამოვიყენოთ...

**— ფეხბურთის ფედერაციას გერმანელი სპეციალისტები ჰყავდა მოწვეული. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის მათი რეკომენდაციები?**

— რაც გერმანელებმა თქვეს, ჩვენთვის სიახლე არ ყოფილა, თუმცა ვნახავთ მათ დასკვნას და მაქსიმალურად გავითვალისწინებთ. ისიც შემიძლია გითხრათ, რომ გარკვეული წინასწარი სამუშაოები უკვე დაწყებული გვაქვს. ინდივიდუალურ სკამებთან დაკავშირებით რამდენიმე წინადადება გვაქვს და მათგან საუკეთესოს შევარჩევთ.

**— რამდენიმე წლის წინ ლაპარაკი იყო საქართველოშივე დამზადებულ სკამებზე, რაც გაცილებით იაფი ჯდებოდა...**

— ალბათ არ იქნება სასურველი, ასეთი ექსპერიმენტი მაინცდამაინც ეროვნულ სტადიონზე ჩავატაროთ. გვინდა, გამოცდილ ფირმასთან დავიჭიროთ საქმე, რომლის ნაწარმიც უეფას ყველა სტანდარტში ჯდება. ორი იტალიური ფირმაა, ერთი ფრანგულ-აზერბაიჯანული, ერთი ბულგარული, რომელმაც „ლევსკის" სტადიონზე დაამონტაჟა სკამები და ერთიც თურქული, რომელსაც „გალათასარაის" სტადიონზე უმუშავია. ყველა ამ ფირმიდან ნიმუშები ჩამოგვივა, შევამოწმებთ მათ სიმტკიცეს, ვიზუალურ მხარეს და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას.

**— განათება?**

— ალბათ იმავ კომპანიასთან ვითანამშრომლებთ, რომელმაც უკვე არსებული განათება დაამონტაჟა. დასამატებელია დაახლოებით 200 ნათურა და საამისოდ 10 კილომეტრამდე სადენებია საჭირო. გვინდა დავამონტაჟოთ ახალი ტაბლო, თუმცა ეს ძალიან ძვირი სიამოვნებაა. გაკეთდება ულტრათანამედროვე სარბენი ბილიკები, რისთვისაც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციასთან ვაწარმოებთ კონსულტაციებს. გვინდა, რეკონსტრუქციის შემდეგ ეროვნულ სტადიონს მძლეოსნობაში მაღალი დონის ტურნირების მასპინძლობა შეეძლოს.

**— რადგან მძლეოსნობა ახსენეთ, რაგბის თაობაზეც გკითხავთ: როგორც ამბობენ, მორაგბეები სერიოზულად აზიანებს მინდვრის საფარს...**

— მორაგბეთა ეროვნული ნაკრები წელიწადში სულ სამ-ოთხ შეხვედრას ატარებს ეროვნულ სტადიონზე და მათ უარს ვერ ვეტყვით. სხვა საქმეა, რომ გადასახედი იქნება ნიხრი. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამხელა ინვესტიციის განხორციელების შემდეგ თეთრების სანაცვლოდ ეროვნულ სტადიონს ვერავის დავუთმობთ, თბილისის „დინამო" იქნება ეს თუ ნებისმიერი სხვა გუნდი...

**— როგორი იქნება თქვენი ურთიერთობა ფეხბურთის ფედერაციასთან?**

— ამ ინვესტიციაზე წასვლით ჩვენ ნაბიჯი გადავდგით ქართული ფეხბურთისკენ. სასიამოვნოა, რომ შემხვედრი ნაბიჯი გადმოდგა ფეხბურთის ფედერაციამაც. მივაღწიეთ პრინციპულ შეთანხმებას, რომ ყოველი თამაშისას ფედერაცია ბილეთების გარკვეულ რაოდენობას დაგვითმობს. კონკრეტულ პროცენტებზე მას შემდეგ დავილაპარაკებთ, ქალაქის მერიასთან ხელშეკრულებას რომ გავაფორმებთ.

**— უეფა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უსაფრთხოების საკითხს...**

— ჯერჯერობით არ გადაგვიწყვეტია, მაგრამ არის მოსაზრება, რომ ბილეთიანი მაყურებელი უპრობლემოდ მივიდეს სექტორებამდე და უკვე სექტორების შესასვლელში დამონტაჟდეს სპეციალური საკონტროლო-გამშვები მოწყობილობა. ერთის მხრივ, ეს უბილეთოების პრობლემას მოხსნის და უსაფრთხოებაზე კონტროლსაც გააადვილებს. იმედი გვაქვს, ფედერაცია ერთშიც დაგვეხმარება და სხვადასხვა ტრიბუნის ბილეთები სხვადასხვა ფერში დაიბეჭდება. შესაძლოა, ტრიბუნები ოთხ ნაწილად დავყოთ და ერთმანეთისგან გავმიჯნოთ, ისე როგორც ბევრ ევროპულ ქვეყანაშია.

**— ინვესტიციის ამოღების ერთ-ერთი გზა ალბათ სტადიონის შოუ-ბიზნესისთვის მიქირავებაც იქნება...**

— თავად ვარ ნამყოფი ერთ-ერთ კონცერტზე, რომელიც საფეხბურთო სტადიონზე გაიმართა. მაქვს უეფას ჟურნალები, რომლებშიც მოედნის სპეციალურ საფარს უკეთდება რეკლამა — ეს არის პლასტმასის საფარი, რომელიც ძალიან მყარია და ამავე დროს მოედანზე მისი დამონტაჟების შემთხვევაში, ბალახის საფარს არაფერი ემუქრება. გერმანიაში ამგვარი საფარი გამოიყენეს სტადიონზე, სადაც რომის პაპი გამოვიდა. სხვა საქმეა, რომ ეს საფარი ძალიან ძვირი ღირს და პირველ ეტაპზე მისი შეძენა შეიძლება გაგვიჭირდეს.

**— რა ეშველება ავეჯის ბაზრობას?**

— მას ჯერჯერობით ხელს ვერ ვახლებთ. თუ ბაზრობას დღესვე გავაუქმებთ, შესაბამისი სამუშაოები გვექნება ჩასატარებელი და 2 სექტემბრამდე სხვა სამუშაოთა დასრულებას საფრთხე შეექმნება. ჯერ სტადიონზე შიდა სამუშაოებია ჩასატარებელი, მერე ბაზრობასაც მივხედავთ. ის შეიძლება დარჩეს, თუმცა უფრო ცივილიზებული ფორმით და ესთეტიკური მხარეც გათვალისწინებული უნდა იყოს.

**— როდიდან დაიწყება კონკრეტული სამუშაოები?**

— ძალიან მალე. მართალია, მერიასთან ხელშეკრულების დეტალებზე შეთანხმება დროს წაიღებს, მაგრამ ამის პარალელურად ვიმუშავებთ. ფაქტობრივად, ყაზარმულ მდგომარეობას გამოვაცხადებთ და 24-საათიანი სამუშაო გრაფიკი გვექნება. თითქმის პარალელურად მოხდება პროექტის შედგენა და მისი რეალიზება. სამუშაოებს რომ დავიწყებთ, მედიას აუცილებლად მოგიპატიჟებთ, რათა დარწმუნდეთ რეკონსტრუქციის მასშტაბებში.

**— იმედი გაქვთ, რომ 2 სექტემბრამდე დარჩენილ დროში ჩაეტევით?**

— გადაჭრით თქმა ძნელია, თუმცა უკვე გითხარით, რომ საამისოდ ყაზარმულ პირობებში ვიმუშავებთ. 2 სექტემბერი ათვლის ერთგვარი წერტილია, ამის შემდეგ რეკონსტრუქციის მეორე ეტაპი დაიწყება და ჯამში ინვესტიციის მოცულობა 8-10 მილიონს გასცდება.

**გიორგი ნოზაძე**

# საქართველოს ნახევარი მალტაშია

## არველაძემ არველაძეს ჩააკითხა, ტოპმიოლერი მინგეს ჩააკითხავს

**გუშინ** გამთენიისას საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გეზი მალტისკენ აიღო და ნაშუადღევს სტამბოლის გავლით ჩაფრინდა კუნძულზე. რალფ მინგე და მისი გუნდი იმავ სასტუმრო „ქოსთლაინში" დაბინავდნენ, რომელშიც ქართული დელეგაცია ერთი თვის წინ მალტის ტურნირზე ყოფნისას ცხოვრობდა.

ამჯერად ქართული დესანტი შედარებით მცირერიცხოვანია — მალტაში ჯერ არ ჩასულან ჩვენი ლეგიონერები, რომლებსაც იქ დღეს ელიან. ასევე დღეს შეუერთდებიან დელეგაციას მისი ხელმძღვანელები: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები, გოგი ქავთარაძე და რევაზ არველაზე გუშინ ამსტერდამში „აიაქს" — „ალკმაარის" შეხვედრას დაესწრნენ და შოთა არველაძის თამაში ნახეს.

სასტუმროში დაბინავების შემდეგ რალფ მინგემ გუნდი მსუბუქად ავარჯიშა. გერმანელ მწვრთნელს სადღეისოდ ერთი, საღამოს ვარჯიში აქვს დაგეგმილი, ხვალ კი უკვე ორჯერ დატვირთავს შეგირდებს.

მალტაში ჩასვლას გეგმავს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერიც, თუმცა შესაძლოა, ჰერ კლაუსმა მატჩის დღესღა ჩააკითხოს ჩვენს 21-წლამდელებს.

**გიორგი ნოზაძე**



რალფ მინგე გუნდს სრულად დღეს შეკრებს

# ლაშა ჯაკობია: ელოდეთ სიურპრიზს

კლაუს ტოპმიოლერის უკრაინაში სტუმრობამ იქაური მასმედია ძალიან დააინტერესა. „მეგასპორტმა" ლაშა ჯაკობიას ინტერვიუ ჩამოართვა, რომელშიც ჩვენიანი ძალიან აქებს გერმანელ მწვრთნელს და ამბობს, ნაკრების წევრებისთვის იგი უკვე იქცა სამაგალითო სპეციალისტადო.

„ტოპმიოლერი ძალიან საინტერესო პიროვნებაა, მისი ყველა ფეხბურთელს სჯერა. ჩვენი ნაკრები განახლებული შემადგენლობით იქნება და ვგრძნობ, ისეთი გუნდი გვეყოლება, როგორიც არასდროს გვყოლია. დარწმუნებული ვარ, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ფავორიტებს სიურპრიზს მივართმევთ".

გეცოდინებათ, ჯაკობია ხარკოვის „მეტალისტის" კაპიტანია და ალბანეთთან მატჩში მან ნაკრებშიც მოირგო სამკლავური.

„ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ტოპმიოლერს და თანაგუნდელებს ნდობა გავუმართლო" — ამბობს ლაშა.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავით მუჯირმა პირველი რუსული გოლები გაიტანა

# მუმუმ ზენიტს დუბლი გადაუღო

დავით მუჯირმა სამარის „კრილიაში“ პირველი გოლები მიითვალა. „შტურმიდან“ რუსეთში ერთი თვის წინ გადასულმა ქართველმა ნახევარმცველმა პრემიერლიგის ერთ-ერთ ფავორიტ „ზენიტს“ დუბლი შეუსრულა, თუმცა ორივე გოლი პენალტით შეაგდო.

თავიდან სანკტპეტერბურგელები იგებდნენ, მაგრამ მუჯირმა მე-14 წუთზე საგოლე პასი გაახერხა და მედვედევმა ცარიელ კარშილა შეაგდო. მერე, პირველივე ტაიმში, „მუმუმ“ ორივე პენალტი ცხრიანში გაიტანა, „კრილიამ“ კი 3:2 მოიგო. ჩვენიანი ძალიან აქტიური ყოფილა და რამდენჯერმე შორიდანაც გაისროლა, 83-ე წუთზე კი შეცვალეს.

ილია ნანოგაშვილი

# ხიზანიშვილი — ბლექბერნი: ორშაბათი კონტრაქტის დღეა

„ბლექბერნის“ და ზურაბ ხიზანიშვილის ხელშეკრულების გაფორმებას საშველი დღეს უნდა დაადგეს — ხიზანიშვილის აგენტი ივან ბენეშიც დღეს ამად ჩადის დანიიდან ალბიონზე.

— შაბათს, „პორტსმუთთან“ თამაშის შემდეგ „ბლექბერნის“ ხელმძღვანელობამ მითხრა, ყველაფერი გამზადებულია და ორშაბათს კონტრაქტს ხელი მოვაწეროთო. ბენეშიც ორშაბათს ჩამოვა ბლექბერნში და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სამწლიანი კონტრაქტი გაფორმდება — გვითხრა გუშინ ხიზანიშვილმა.

დავით თავართქილაძე






# დავით ყიფიანის თასი

## ნახევარფინალი. პირველი მატჩი

# ხიჭვიანი თამაში

ბოლნისი. 8 აპრილი. 16 საათი. თამაზ სტეფანია. 1 500 (ტევადობა 3 500)

## სიონი 0:0 ამერი

| | |
|---|---|
| სიონი: ბობლიაშვილი, თედორაძე, ჭიჭველიშვილი, ლ. ჭელიძე, ა. ალავიძე, გურბიენკო (ბაჯელიძე 60), ქუცურუა, ხმალაძე, კვიტაიშვილი (ვ. უგრეხელიძე 28), ხუციშვილი, სირბილაძე (მიკუჩაძე 40) *სათადარიგონი:* ბათიაშვილი; ტაბატაძე, ოქროპირიძე, ქარდავა მწვრთნელი: კახა ცხადაძე | ამერი: ნადირაშვილი, ბერიანიძე (გ. კვახაძე 70), დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე (ნიკოლაიშვილი 78), დოლიძე, ბოლქვაძე, კედელაშვილი, სევასტოპულო, ს. დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი (ტატანაშვილი 64) *სათადარიგონი:* ქვაჩახია; გვაძაბია, სილაგავა, დობროვოლსკი მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |

გაფრთხილება: კედელაშვილი (28), სევასტოპულო (32), თედორაძე (34), ჭელიძე (38), კედელაშვილი (55), ბობლიაშვილი (75), კვახაძე (89)

გაძევება: კედელაშვილი (55), ალავიძე (55)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე; ა. ნონიკაშვილი

დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე; დელეგატი: ა. კაჭახიძე

## ნადირაშვილი პირისპირაც ვერ მოინადირეს



**კობა ინასარიძე ბოლნისიდან**

**ტემპი** და ეშხი, ბრძოლა და ბევრი გამოუყენებელი მომენტი, ჩხუბი მოედანზე და ტრიბუნაზე, ეჭვი და 0:0 2 მაისამდე, ანუ საპასუხო თბილისურ მატჩამდე... აი, ასე დამთავრდა ამ ნახევარფინალის პირველი, ბოლნისური ნახევარი და ვფიქრობთ, არანაკლებ ფიცხელი უნდა გამოვიდეს გლდანის თამაში.

სტუმრებმა ვერც საამმატჩოდ მოახერხეს ოპტიმალური შემადგენლობის შეკრება. ავადმყოფობის გამო „ამერს" გიორგი დეკანოსიძე, ალეკო კაიდარაშვილი და ალეკო კოშკაძე აკლდნენ. უძლიერესი შემადგენლობით ვერც „სიონი" დაუხვდა მეტოქეს, მცველებმა მიხეილ კობაურმა და დავით სვანიძემ შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვეს, ხოლო მთავარი დამრტყმელი ძალა კოკა მიკუჩაძე და ლევან ბაჯელიძე მწვრთნელმა სათადარიგოებად მოიტოვა და თამაშის საშუალება მოგვიანებით მისცა.

მთელი მატჩი კი აღშფოთებული ბოლნისელი ფანების ლანძღვა-გინების თანხლებით მიმდინარეობდა. მასპინძელთა ქომაგები ეჭვობდნენ, რომ „სიონთან" სათასო შეხვედრამდე „ამერმა" „ვიტ ჯორჯიასთან" ჩემპიონატის თამაში შეგნებულად დათმო, უძლიერესი შემადგენლობა მწვრთნელმა განგებ არ დააყენა და მთელი ძალები „სიონთან" ჯახისთვის შემოინახა. სწორედ ამ ეჭვებს მატჩისას და მის შემდეგაც ერთი ალიაქოთი მოჰყვა. ამერლები მასპინძლებს თავიანთ სიმართლეს უმტკიცებდნენ და საამისოდ, ცოტა არ იყოს, ხმის აწევაც მოუხდათ. აგერ, ფედერაცია, აგერ, პროფლიგა და თუ რამ აქამდე უპატიოსნო იყო, ამათი გასარჩევ-გამოსაძიებელია, მეტოქის დადანაშაულება კი კლუბის საქმე არ უნდა იყოს, მით უმეტეს, ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანი მატჩისას... არც ქომაგს შეშვენის ტრიბუნაზე სტუმარი გუნდის ფეხბურთელის მამაზე ხელის აწევა. მით უმეტეს, როცა ეს ფეხბურთელი რამდენიმე თვის წინ სწორედ მასპინძელთა მაისურით თამაშობდა და იქაური ქომაგებიც არაერთხელ გაუხარებია... მოკლედ, ბოლნისში მოედნის მიღმა დიდი ამბები იყო. მოედანზე კი საფეხბურთო საქმეებს ფეხბურთელები არჩევდნენ და ეს არცთუ ცუდად გამოუვიდათ.

პირველი საგოლე მომენტი და მატჩის პირველი ტაიმიც სტუმრებისა იყო. ისინი უფრო ორგანიზებულად, უფრო მწვავედ თამაშობდნენ და ერთი-ორჯერ მიზანთანაც ახლოს იყვნენ. უკვე მე-3 წუთზე მეკარე მინდია ბობლიაშვილთან ლამის პირისპირ დარჩა გრიგოლ დოლიძე, თითქოს ხელისშემშლელიც არავინ ჰყავდა, მაგრამ დარტყმა ვერ გამოუვიდა. მერე რატი წინამძღვრიშვილის სახიფათო თავური ვნახეთ, ფორვარდმა მეკარეს დაასწრო, თუმცა ბურთი კარს ველარ დაუმიზნა. რატიმ ერთი ძალიან გონივრული პასიც გააკეთა, შემოტრიალებით სულიკო დავითაშვილს საპირისპირო მხარეს გადააწოდა ბურთი და კარში დასარტყმელადაც ჩინებული შანსი მისცა — „ყვითლების" მეგოლეს დავით ჭიჭველიშვილმა არ დაანება. მოგვიანებით ბობლიაშვილის მზადყოფნა დავით ბოლქვაძემაც შეამოწმა და ტაიმიც მალევე დასრულდა. იქამდე კი გიორგი ჩიხრაძემ ტაქტიკური სქემა გადააწყო, ხოლო კახა ცხადაძემ ორი შეცვლა გააკეთა. თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში მან ჯერ შუა ხაზი გააძლიერა და მოედანზე ვლადიმერ უგრეხელიძეს უხმო, შემდეგ კი საქმეს გუნდის შეტევის ლიდერი კოკა მიკუჩაძე მიაშველა.

„სიონმა" შესვენებამდე „ამერის" მეკარე ლადო ნადირაშვილი რამდენჯერმე დატვირთა. ალექსეი გურბიენკომ და არჩილ ალავიძემ მას შორიდან და სახიფათოდ დაურტყეს, მერე კი... მერე მეორე ტაიმი და ლადო ნადირაშვილის მართლაც საოცარი თამაში ვნახეთ. „ფანტასტიკ" — სწორედ ასე შეაფასა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელმა ჰაინც ტოპმიოლერმა ამერელი მეკარის გარჯა.

მეორე ტაიმში „სიონმა" მეტოქე დაჯაბნა და რომ არა ნადირაშვილი, მასპინძლებს საპასუხო მატჩამდე ეგებ სოლიდური ფორაც მიელოთ. ტაიმის დასაწყისშივე ლაშა ჭელიძის სახიფათო, თუმც უზუსტო თავური იყო, 10-15 წუთის შემდეგ კი დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო... მასპინძლებმა ხუთწუთიან მონაკვეთში სამი რეალურზე რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, ხოლო ნადირაშვილმა, რომ იტყვიან, აულებლები აილო.

კახა ცხადაძემ უკრაინელი გურბიენკო ბაჯელიძით შეცვალა. ბაჯელიძემ ბურთიც დაიჭირა და პასებიც გონივრულად გაანაწილა. იმ სამი მომენტიდან ორი მიხეილ ხუციშვილს გაუცუდდა, ერთიც გიორგი ქუცურუას. მასპინძელთა შეტევები ლადო ნადირაშვილს სულ ორი-სამი მეტრიდან ურტყამდნენ, იყო თავურებიც, რისი მოგერიებაც ასეთი მანძილიდან შეუძლებელია, მაგრამ ნადირაშვილმა დაამტკიცა, რომ შესაძლებელიც ყოფილა.

ამ ხუთწუთიანი შტურმისასაც კი „ამერი" თამამად გამოიყურებოდა. „ყვითლების" ორი თავდამსხმელი მასპინძელთა შეტევებისას ცენტრის ხაზთან ელოდა საჯარიმოდან ატანილ ბურთს და კონტრშეტევისთვის მზად იყო. სტუმართა ჩანაფიქრი გასაგები გახლდათ, მეტოქის მოედანზე გატანილ გოლს ხომ საპასუხო მატჩისას ოქროს ფასი აქვს. „ყვითლებმა" ეს ვერ მოახერხეს, თუმცა არც მასპინძლებს გაატანინეს...

## პრესკონფერენცია

***გიორგი ჩიხრაძე.*** სათასო მატჩები ყოველთვის დაძაბულობით გამოირჩევა, მით უმეტეს, როცა ორი ამბიციური გუნდი თამაშობს. ძალიან რთული შეხვედრა იყო, საგოლე მომენტები ჩვენც გვქონდა და მეტოქესაც. 0:0 შეიძლება „ამერისთვის" კარგი შედეგია, მაგრამ ეს არაფერს გვაძლევს, ბოლნისში პირველი რაუნდი იყო, ყველაფერი კი თბილისში გადაწყდება.

***კახა ცხადაძე.*** რაც მეტი იქნება ასეთი მატჩები, მით უფრო აიწევს ქართული ფეხბურთის დონე. მეორე ტაიმში ჩვენ დიდი უპირატესობა გვქონდა, მაგრამ ურეალურესი მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ვფიქრობ, ყველა დარწმუნდა „სიონის" სიძლიერეში, ჩვენ მართლაც კარგად დაკომპლექტებული გუნდი გვყავს. ფინალში გასვლის შანსები კი ახლაც ისეთივეა, როგორიც მატჩამდე იყო. 1:1 რომ დასრულებულიყო ეს თამაში, შანსები მაინც თანაბარი იქნებოდა.



ამირან კედელაშვილმა და არჩილ ალავიძემ თამაში ნაადრევად დაასრულეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით ყიფიანის თასი

## ნახევარფინალი. პირველი მატჩი



ზურაბ ძამსაშვილის (№13) ყოველი შემთხვევისთვის დამატებული

გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

# ჟორჟიკაშვილმა გოლები შეუშვა და... წავიდა

მცხეთა. 8 აპრილი. 16 საათი. არმაზი. 1 500 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 1:2 ზესტაფონი**

1:0 კვახაძე (23), 1:1 ძამსაშვილი (45), 1:2 გოცირიძე (84)

| ვიტ ჯორჯია | ზესტაფონი |
|---|---|
| **ვიტ ჯორჯია:** მიქაბერიძე, პ. დათუნაიშვილი, დ. ლომაია, ა. კვახაძე, გველესიანი (ლუჭაშვილი 69), გ. დათუნაიშვილი, დილმელაშვილი, იმედაშვილი, ზ. სახოკია (გ. მელქაძე 80), გელაშვილი, ფეიქრიშვილი<br>*სათადარიგონი:* ლურბელეიშვილი; აბშილავა, რაზმაძე, ჯაფარიძე, ებანოიძე<br>**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე | **ზესტაფონი:** გ. ჭანტურია, ძამსაშვილი, ს. თოდუა, შ. ლონღაძე, კ. ჩხეტიანი, ნუდნი, ბ. ნოზაძე (გ. ჭელიძე 71), ბჟალავა, ფიფია (ბენაშვილი 88), იმედაძე (ბ. გოცირიძე 82)<br>*სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე; ძარია, ხიდეშელი, დაუშვილი<br>**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი |

**გაფრთხილება:** ნუდნი (29), ბჟალავა (49), ლომაია (53), თოდუა (60), ნოზაძე (68), პ. დათუნაიშვილი (69), კვახაძე (84)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ლ. მიქელაძე, ზ. მენთეშაშვილი; გ. ვადაჭკორია

**დამკვირვებელი:** ნ. კაკულია; **დელეგატი:** შ. ბაქრაძე

**ილია ნანობაშვილი** მცხეთიდან

**ხომ** იცით, რაც მოხდა „ზესტაფონ" — „სიონის" ამასწინანდელი მატჩის პრესკონფერენციაზე? იმერელთა ქომაგებმა ერთი ამბავი დააწიეს გუნდის თავკაც კობა ჟორჟიკაშვილს, თემურ მახარაძის წასვლის შემდეგ შედეგი გაგვიუარესდაო. გამოდის, გულშემატკივრები პირდაპირ ჟორჟიკაშვილს ადებდნენ ხელს, მაგრამ საინტერესოა, გუშინდელი თამაშის შემდეგ რას იტყვიან — „ზესტაფონმა" დიდწილად ჟორჟიკაშვილის სწორი გათვლებით იმარჯვა, ანუ ამ შემთხვევაში იტყვიან, მწვრთნელმა შეოატრიალა თამაშიო...

დააკვირდით შეცვლებს: ფეროელთა თავკაცმა ჯერ გიორგი ჭელიძე, შემდეგ კი ბექა გოცირიძე შეიყვანა და გამარჯვების გოლიც მათი მონაწილეობით გავიდა. 84-ე წუთი იყო, როცა „ვიტ ჯორჯიას" დაცვა აიჭრა, ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობისას იაღლიში მოუვიდა, ჭელიძე მარჯვენა ფლანგიდან მეკარესთან პირისპირ გავიდა, უკეთეს პოზიციაზე მყოფ გოცირიძეს გადააწოდა ბურთი და მანაც აუღელვებლად შეაგდო...

ნამატჩევს ჟორჟიკაშვილმა თქვა, დიდი ნაბიჯი გადავდგით ფინალისკენ, მაგრამ ეიფორიას არ მივეცემით, „ვიტ ჯორჯია" ამ ეტაპზე საუკეთესო ქართული კლუბია, ვისაც კი ბოლო თვეებში შევხვდითო. ჟორჟიკაშვილი ამას გულწრფელად ამბობდა, არადა, ფაქტია — „ზესტაფონმა" ორიოდ კვირის წინ ასევე მცხეთაში, ასევე 2:1 მოუგო ვიტელებს, თუმცა მაშინ ფეროელებს მახარაძე წვრთნიდა.

იმერლებს არ ჰყავდათ მთავარმეგოლე ზურაბ იონანიძე და წამყვანი ნახევარმცველი გიორგი განუგრავა. ეს ორი კაცი რასაც ნიშნავს ჟორჟიკაშვილის გუნდისთვის, კარგად მოგეხსენებათ. და მაინც- „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ თამაშის შემდეგ აღიარა, სტუმრებმა დამსახურებულად მოგვიგეს, ჩემს ფეხბურთელებს კი დაღლა დაეტყოთო. მართლაც, კალენდარი ხომ საშინლად გადატვირთულია და პლუს, ისე მოხდა, რომ „ვიტ ჯორჯიას" ძლიერ მეტოქეებთან მიჯრით მოუხდა ჯახი.

...პირველ წუთებში ყველაზე აქტიური ვიტელი დავით იმედაშვილი იყო. იგი ორჯერ გაიჭრა მარცხენა ფლანგიდან და კარგი აბრაგანებიც გაახერხა, თუმცა ერთხელ გრიგოლ ჭანტურიამ იმარჯვა, ერთხელაც ნიკა გელაშვილმა უხერხულად დაუხვედრა თავი.

მჭიდრო და ჩახუთული თამაში წავიდა, „ვიტ ჯორჯია" უფრო მხნედ გამოიყურებოდა და მინდვრის თითო ნაწილში მცირე უპირატესობა ჰქონდა. გოლი კი 23-ე წუთზე გავიდა: დავით დილმელაშვილმა, რომელმაც მთლიანობაში აშკარად ვერ ითამაშა თავის დონეზე, საჯარიმოში ჩააწოდა და შორეულ ძელთან ალექსანდრე კვახაძემ უთავაზა თავური — 1:0.

„ზესტაფონი" უმალ გასათანაბრებლად გაიწიაო, ვერ ვიტყვით, თუმცა ტემპს კი უმატა. იონანიძის არყოფნაში გია იმედაძე ცენტრფორვარდად თამაშობდა, გოგი ფიფია კი უფრო სიღრმიდან უტევდა. მირზა ბჟალავა და სერგეი ნუდნი მათ პასებს არ აკლებდნენ და სულ არაფრისგან ანგარიში ტაიმის ბოლო წუთზე გათანაბრდა: იმედაძემ სამ მცველში მოახერხა გაძრომა, მაგრამ კვახაძემ ბოლო წამს კუთხურზე გადააგდო ბურთი, იქიდან ჩაწოდებული კი ილბლიანად მიუვიდა ბჟალავას, რომლის დარტყმულიც ისედაც გადიოდა კარში და ზურაბ ძამსაშვილმა ყოველი შემთხვევისთვის ფეხი წაჰკრა. 1:1, სტუმრად გოლი — „ზესტაფონს" ნახევარი საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდა.

მეორე ტაიმიც ცოცხლად დაიწყო, თამაშიც თითქოს გაიხსნა და თუ მანამდე მარტო ბრძოლა იყო, სანახაობრივმა მხარემაც იმატა.

„ვიტ ჯორჯია" ერთადერთხელ, გელაშვილის თავურით დაემუქრა სტუმრებს და სულ ეს იყო... სადღაც 65-ე წუთიდან „ზესტაფონმა" ნელ-ნელა აკრიფა სიჩქარე და „პირველ ნომრად" იქცა. ნუდნის ბრწყინვალე პასის შემდეგ ფიფია მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში, ფინტებიც გაურია და დარტყმაც გემრიელი გამოუვიდა, მაგრამ არდალიონ მიქაბერიძემ კუთხურზე მოიგერია ბურთი.

მოკლედ, „ვიტ ჯორჯიას" დაცვა უკვე შფოთავდა, გია იმედაძე ლამის ყველა ბურთს იგებდა და სულ ხიფათს ქმნიდა, ეგაა, საგოლე მომენტამდე საქმე ვერ მიჰყავდა.

1:1 ნესტორ მუმლაძის გეგმებში არ შედიოდა. მანაც მარცხენა მცველ ოლეგ გველესიანის ნაცვლად ფორვარდი ვასილ ლუჭაშვილი გამოიყვანა, გველესიანის ადგილი იმედაშვილს ჩააბარა და გიორგი ფეიქრიშვილი მარჯვნივ გადასწია. ეს რისკი იყო, რამაც არ გაამართლა. პირიქით: შემოვიდნენ ჭელიძე-გოცირიძე და 84-ე წუთზე „ვიტ ჯორჯია" შოკში ჩავარდა...

მართალია, ჟორჟიკაშვილს ეიფორიისა ეშინია და მწვრთნელი ასეთიც უნდა იყოს, მაგრამ სტუმრად 2:1 მოგების შემდეგ იშვიათად, რომ წალმა შეტრიალდეს საქმე. მით უმეტეს, თანაბარი გაქანების გუნდებზეა ლაპარაკი...

და კიდევ, „ზესტაფონი" 13 აპრილამდე უმწვრთნელოდ დარჩება: ჟორჟიკაშვილი ხომ 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცის თანაშემწეა და გუშინ მალტაზე წაჰყვა გუნდს. მანამდე ფეროელებს ჟორჟიკაშვილის ასისტენტი მერაბ კოჭლაშვილი მოამზადებს, რომელიც გუშინაც ძალიან აქტიურად ხელმძღვანელობდა გუნდს...



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

# შეტევა! შეტევა!

## ასეთია პრეზიდენტის მოთხოვნა



გურამ [illegible] ფოტო

*შეიძლება ითქვას, „ზესტაფონი" ცალი ფეხით ფინალშია — თასის ნახევარფინალის პირველ შეხვედრაში სტუმრად „ვიტ ჯორჯიას" 2:1 მოუგო და საპასუხო მატჩისთვის კარგი ფორა აიღო. „ზესტაფონში" ახალგაზრდების გარდა ბევრი გამოცდილი ფეხბურთელიცაა და როცა სეზონი გადამწყვეტ ფაზაში შედის, მთავარი სიტყვა გამობრძმედილ მოთამაშეებს ეთქმით.*

*გრიგოლ ჭანტურია საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 1991 წლიდან თამაშობს და უცხოეთშიც, რუსეთის პირველ ლიგაშიც მოუსინჯავს ძალა. ამ 32 წლის მეკარეს კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ეროვნული ნაკრების კარი ანდო 22 მარტს ალბანეთთან ამხანაგურ მატჩში.*

*ჭანტურიას ჯერ „ვიტ ჯორჯიასთან" სათასო მატჩზე ჩამოვუგდეთ სიტყვა...*

— პირველ რიგში რის ხარჯზე მოახერხეთ „ვიტ ჯორჯიას" დამარცხება?

— ალბათ მოტივაციის და მონდომების ხარჯზე. პირველ წრეში დაკარგული ქულები ჩემპიონობისთვის ბრძოლის რეალურ შანს არ გვაძლევს, ამიტომაც თასზე გადავერთეთ. ისე, „ვიტ ჯორჯიას" წლეულს ორჯერ მოვუგეთ.

— „ზესტაფონში" მწვრთნელი შეიცვალა — რა მნიშვნელოვანი ცვლილებებია გუნდში?

— ადრე ერთი ფორვარდით და ორი უკანდაწეული შემტევით ვთამაშობდით, ახლა კი 4-3-2-1 სქემა 4-3-1-2-ით შეიცვალა, ორი გამოკვეთილი თავდამსხმელით ვთამაშობთ. აქცენტი შემტევ თამაშზე გადავიტანეთ, რაც კლუბის პრეზიდენტის მოთხოვნაა.

— დავუშვათ, „ზესტაფონს" ყველაფერი კარგად წაუვიდა და რომელიმე ევროსაგზური მოიპოვა — მზად არის გუნდი იმისთვის, რომ ევროსარბიელის პირველივე ეტაპზე არ შერცხვეს და ღირსეულად ითამაშოს?

— „ზესტაფონში" რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი ვართ, ევროსარბიელზე პირველი ეტაპი რომ გაგვივლია. ვფიქრობ, თუ ევროსაგზურს მოვიპოვებთ, პირველ ეტაპის გადალახვას შევძლებთ.

— თუ „ზესტაფონი" ინტერტოტოს საგზურს მოიპოვებს, ამ ტურნირში თამაშზე უარს იტყვის?

— ეს კლუბს ჯერ არ გადაუწყვეტია.

— თასი რომ აირჩია „ზესტაფონმა" პრიორიტეტად, ეს ალბათ გადატვირთული კალენდრის გამოცაა...

— ასეთი კალენდარი მართლაც კატასტროფაა, ყველას ნელ-ნელა ძალა გვეცლება და ორ ფრონტზეც ამიტომ ჭირს ბრძოლა, თუმც ყველანაირად ვეცდებით, რომ ჩემპიონატში ზედა სამეულში დავრჩეთ.

— „ვიტ ჯორჯიასთან" სათასო მატჩში თქვენგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო გია იმედაძე, ვისაც მანამდე მიზეზთა გამო ბევრი გაუცდა...

— იმედაძე თამაშს მონატრებულია და უკვე ოპტიმალურ ფორმაში შედის. მისასალმებელია, როცა რამდენიმე კარგი ფორვარდია გუნდში — ამბიციური გუნდი შეტევაში ერთ კაცზე არ უნდა იყოს დამოკიდებული.

— საქართველოში რამდენიმე გუნდში გითამაშია. როგორ ფიქრობ, საუკეთესო პერიოდი როდის გქონდა?

— თითქმის სულ მედლებისთვის მებრძოლ ქართულ გუნდში მიწევდა თამაში და მიჭირს რომელიმეს გამოყოფა. თუმც 1995 წლის „სამტრედია" მაინც გამორჩეული იყო, ეს გუნდი ახლა რომ თამაშობდეს, პირველივე წრის შემდეგ გახდებოდა საქართველოს ჩემპიონი.

— ფეხბურთელთა ოსტატობის მხრივ მაშინდელ და ახლანდელ ქართულ გუნდებს შორის ამხელა სხვაობაა?

— ქართულ გუნდებში ბრძოლისუნარიანობამ იმატა. დღეს რამდენიმე თანაბარი დონის გუნდია და ჩემპიონატიც დაძაბულია, მაგრამ ისეთი ფეხბურთელები არ ჩანან, 90-იან წლებში რომ თამაშობდნენ საქართველოს ჩემპიონატში. იმდროინდელი „დინამოს" ფეხბურთელები ახლაც ბირთვს წარმოადგენენ ეროვნული ნაკრებისთვის. კარგი ფეხბურთელები ახლა უფრო ძნელად ჩნდებიან საქართველოს ჩემპიონატში.

— საქართველოს ჩემპიონატში ყოველთვის ერთ-ერთი გამორჩეული მეკარე იყავი, თუმც ახლა ალბათ საუკეთესო შანსი მოგეცა ეროვნულ ნაკრებში დასამკვიდრებლად...

— ალბათ, ასეა. ორი-სამი წელი კიდევ შემიძლია სანაკრებო დონეზე თამაში.

— ალბანეთთან მატჩში გოლი არ გაგიშვია, ალტინ ლალას დარტყმული ძნელი ბურთიც მოიგერიე...

— კარგ ფორმაში ყოფნა ერთია, მაგრამ მთავარი რწმენაა — თუ შიში გაქვს და თავდაჯერებული არ ხარ, რაც უნდა კარგ კონდიციებში იყო, არაფერი გამოგივა. თავდაჯერებულობას კი გამოცდილება, ძლიერ გუნდებთან თამაში სჭირდება.

— ამბობენ, „ზესტაფონში" პრემიების გაცემასთან დაკავშირებით პრობლემები შეიქმნაო — ახლა როგორი სიტუაციაა?

— ყველაფერი დალაგდება, კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია უცხოეთიდან გვაქცევს ყურადღებას. „ზესტაფონში" ყველაფერი რიგზე რომ იყოს, ამის ინიციატივა სახელმწიფოსგანაც უნდა მოდიოდეს. ვისაც „ზესტაფონში" ფული მოაქვს, სახელმწიფომ მას ამაში ხელი უნდა შეუწყოს. „ზესტაფონს" სამი გუნდი ჰყავს, კლუბში დაახლოებით 90 კაცია დასაქმებული, ანუ 90 ოჯახს აქვს სახსარი და სხვა თუ არაფერი, ესეც გასათვალისწინებელია.

**დავით თავართქილაძე**

# არ მოუსინჯოთ ჯანი აზერბაიჯანს და რომანოვის იმპერიას?

*გიორგი ადამიას „ნეფთჩი" აზერბაიჯანის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა, ალეკო გოგობერიშვილის „ბაკი" — მეოთხეზე; გივი კვარაცხელიას და ნუკრი მანჩხავას „კაუნასი" ლიტვის ჩემპიონატში შარშან მეორე ადგილზე გავიდა — ეს არ არის ახალი ამბები, ოდენ ცნობებია, რომელსაც უნდა იცნობდეს ის ხალხი, საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის სელექციას ყველგან რომ აწარმოებს.*

*კლაუს ტოპმიოლერმა უკვე ბევრი ფეხბურთელი გამოსცადა ეროვნულ ნაკრებში — ზოგი მალტის ტურნირში, ზოგიც ალბანეთთან ამხანაგურ მატჩში და თავადაც თქვა, ძიებას და ფეხბურთელების ტესტირებას კვლავაც გავაგრძელებო...*

ვინძლო, ტოპმიოლერი გეოგრაფიის გაფართოებასაც აპირებს, თუმც თუ მას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ქართული შტაბიდან არ ურჩევენ ფეხბურთელებზე დაკვირვებას აზერბაიჯანში და ლიტვაში, ვეჭვობთ, რომ ამის ინიციატივა თვითონ გამოთქვას.

ტოპმიოლერს წითელი ფანქრით ხაზი არ გადაუსვამს საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებისთვის. ალბანეთთან მატჩის შემდეგ დინამოელი გიორგი შაშიაშვილი შეაქო კიდეც. ახლა კი ისიც ვთქვათ, საქართველოს ჩემპიონატი აზერბაიჯანულს ჩამორჩება თუ აღემატება.

უკვე ორი წელია, აზერბაიჯანულ ფეხბურთში უწინდელთან შედარებით დიდი ფული ჩაიდო. რამდენიმე იქაური კლუბის წლიური ბიუჯეტი მილიონობით დოლარს შეადგენს, რადგან აზერბაიჯანულ ფეხბურთში ფულის ჩამდები ბიზნესმენებს ქვეყნის ხელისუფლებამ საგადასახადო შეღავათები დაუწესა.

ადამიას „ნეფთჩიმ" წლეულს მოსკოვში გამართული თანამეგობრობის თასი მოიგო და თავის გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. რა თქმა უნდა, ეს ტურნირი უმაღლესი რანგის არაა, მაგრამ ისიც ფაქტია: რომ არა ფინანსები და პროგრესი, „ნეფთჩი" ასეთ შედეგს ვერ მიაღწევდა. თბილისის „დინამო" კი ამავე ტურნირში ჩაფლავდა, სამიდან ორი მატჩი წააგო და ერთი ფრედ ითამაშა.

— აზერბაიჯანის მიმდინარე ჩემპიონატში ხუთი გოლი გავიტანე. პირველ წრეში მარცხენა ნახევარმცველად ვთამაშობდი. ახლა კი ხან მარჯვენა გარემარბი ვარ, ხან უკანდაწეული შემტევი. გატეხილი ნეკნის მკურნალობის შემდეგ კარგ ფორმაში ვარ, მაგრამ ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს — აზერბაიჯანისკენ გამოხედვა არავის უნდა. არადა, აზერბაიჯანის ჩემპიონატი საქართველოსას ჯობია. ისევე როგორც საქართველოში, აქაც პრობლემატური იყო მოედნების საკითხი, მაგრამ ამ მხრივ აზერბაიჯანში უკვე უკეთესობაა, „ლენქორანმა" და „კარვანმა" უკვე ჩამოიტანეს მინდვრები უცხოეთიდან — გვითხრა ადამიამ.

ადამია 25 წლისაა და ეროვნულ ნაკრებში არასდროს უთამაშია, 28 წლის გოგობერიშვილს კი ჩვენი უპირველესი გუნდის მაისურა 5-ჯერ მოურგია. გოგობერიშვილი რამდენჯერმე ალენ ჟირესმაც მიიწვია ნაკრებში, მაგრამ მაშინ ის საქართველოს ჩემპიონატში თამაშობდა.

ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელ ქვეყანაში და რომელ გუნდში თამაშობს ფეხბურთელი, მაგრამ ნაკრებში მოხვედრის შესაძლებლობა ალბათ აზერბაიჯანში და ლიტვაში მოთამაშეთაც უნდა ჰქონდეთ.

...კახა ცხადაძე „აინტრახტიდან", გიორგი ქინქლაძე „მანჩესტერ სიტიდან", შოთა არველაძე „აიაქსიდან", მაგრამ იყო გიორგი ჩიხრაძეც შეპეტოვკოვის „ტემპიდან", ვინც ამ ფეხბურთელებთან ერთად თამაშობდა ეროვნულ გუნდში და ნაკრებში თამაში არ ჩაუგდია.

ერთი სიტყვით, ფეხბურთის დემოკრატიულობა კამათის და ბაასის საშუალებას ყოველთვის იძლევა და ალბათ სანაკრებო შანსსაც აზერბაიჯანში და ლიტვაში მოთამაშე ქართველებისთვისაც.

ჟირესი გივი კვარაცხელიასაც აქცევდა ყურადღებას, გოგობერიშვილის დარად ისიც მიიწვია ნაკრებში. კვარაცხელიას ეროვნულ გუნდში ექვსჯერ უთამაშია, მანამდე საქართველოს ახალგაზრდულ და 18-წლამდელთა ნაკრებებშიც მოუსინჯავს ძალა და არცთუ ურიგოდ. ეროვნულ ნაკრებში არასდროს უთამაშია 22 წლის ნუკრი მანჩხავას, თუმც საქართველოს ჩემპიონატში პერსპექტიულ ახალგაზრდად ითვლებოდა. კვარაცხელია-მანჩხავას „კაუნასს" ვლადიმირ რომანოვი პატრონობს, ვინც იმავდროულად შოტლანდიური „ჰართსის" მფლობელიცაა და ეს გუნდი უკვე „სელტიკს" და „რეინჯერსს" ეტოლსწორება და „კაუნასსაც" არ აქვს მოკრძალებული ამბიციები.

ადამია, გოგობერიშვილი, კვარაცხელია, მანჩხავა... ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, თუ მათ ერთხელ მაინც მიეცემათ ტოპმიოლერის ნაკრებში მოხვედრის შანსი. მათ გარდა ალბათ ამის ამბიცია სხვა ისეთ ლეგიონერებსაც აქვთ, ტოპმიოლერის თვალთახედვის არეში ჯერ რომ არ მოხვედრილან.

**დავით თავართქილაძე**

დევისის თასი. მეორე ევრო-აფრიკული ჯგუფი. პირველი წრე. სპორტის სასახლე. 7–9 აპრილი

# მესამე დღე სასწაული

## საქართველომ ევრო-აფრიკიდან აფრიკა ჩამოიცილა



განტევების ჩოგანი: ირაკლი ლაბაძემ ორთქლი გამოუშვა



ლადო ჩიხლაძის კარგი თამაში აფრიკელებისთვისაც მოულოდნელი იყო



8 აპრილი
ირაკლი ლაბაძე-ლადო ჩიხლაძე — ვესლი მუდი — ჯეფ კუცია 6:4 6:4 7:6 (7:4)

9 აპრილი
ირაკლი ლაბაძე — ვესლი მუდი 5:7 6:4 6:4 3:6 11:13
ლადო ჩიხლაძე — იზაკ ფან დერ მერვე 6:2 6:4 6:3



ლადო, ჩვენ ეს შევძელით!

ბევრი ვერ წარმოიდგენდა, ქართველ და სამხრეთაფრიკელ ჩოგბურთელთა სამდღიან შეხლას ბოლო, მეხუთე თამაშამდე თუ შერჩებოდა ინტრიგა. ყველაზე ოპტიმისტებიც კი სტუმრებს აძლევდნენ უპირატესობას და ერთ, მაქსიმუმ ორ ქულას ელოდნენ... ირაკლი ლაბაძისგან. აფრიკელების ლიდერი ვესლი მუდი რეიტინგსიაში ჩვენებურზე ასი ადგილით წინაა, მაგრამ ამ წყვილშიც თანაბარ ბრძოლას ველოდით, აი, ლადო ჩიხლაძისგან ასეთ თამაშს კი — ნაკლებად.

რეიტინგსიაში ხუთასსიქითა 21 წლის ბიჭი ისე მარჯვედ იქნევს ჩოგანს, ახლო მომავალში დიდ წინსვლას უნდა ველოდოთ. ლადოს ძალა პირველივე დღეს, მუდთან შეხვედრისას გამოჩნდა. შაბათ-კვირის შეხვედრების შემდეგ კი დარბაზში მყოფნი მისით აღფრთოვანებულნი დარჩნენ.

თავიდანვე ვთქვათ, რომ დევისის თასის მეორე ევრო-აფრიკულ ჯგუფში ადგილი საქართველომ უკვე შეინარჩუნა და ამას ბეჭედი სწორედ ლადო ჩიხლაძემ დაასვა.

შაბათი წყვილთა დღე იყო. ლაბაძე-ჩიხლაძე მუდი-კუციას დუეტს შეხვდა და ყველასთვის მოულოდნელად საკმაოდ იოლად, სამ სეტში აჯობა. მოულოდნელად იმიტომ, რომ აფრიკელთა ლიდერს წყვილებში თვით უიმბლდონიც მოუგია. კინკილა თამაშით დასკვნის გამოტანა ძნელია, მაგრამ ერთი ნაღდია — მუდს ან უიმბლდონზე ჰყავდა მართლა ძალიან ძლიერი მეწყვილე, ან არა და, ჯეფ კუციაა ძალიან სუსტი. დასაშვებია ერთიც და მეორეც, თუმც ფაქტია, მუდმა მუქკანიანი თანამემამულის ფონზეც ვერ ივარსკვლავა... სახეზე რომ არ გვცნობოდა, ვერც მივხვდებოდით, რომელი იყო მუდი და რომელი კუცია. ქართველებმა მეტოქეები ხალიჩასთან გაასწორეს და საერთო გამარჯვებამდე ერთი ქულაღა დარჩათ ასაღები.

გუშინდელი დღე ლაბაძე-მუდის ჩოგნაობით დაიწყო. ისეთი სანახავი გამოდგა, თქვენი მოწონებული, მაგრამ ლამის ოთხსაათნახევრიანი ბრძოლით მიღებული სიამოვნება მისმა ბოლო გათამაშებებმა წაგვიხდინა. მეხუთე, გადამწყვეტ სეტში სტუმარ-მასპინძელმა მონაცვლეობით 11-11 ქულა აიღეს, მერე კი ლაბაძემ თავისი მოწოდებაც წააგო, მეტოქისაც და მთლიანად თამაშიც. არადა, ამ მომენტამდე რამდენიმე წუთით ადრე ჩვენებურმა ორმაგი მატჩბოლი ვერ გამოიყენა.

„ძალიან ავნერვიულდი — გვითხრა მოგვიანებით ირაკლიმ — იღბალი რომ ჩემკენ ყოფილიყო, აუცილებლად მოვიგებდი, მაგრამ ახლა წაგებულ თამაშზე აღარ ვფიქრობ. საქმე ლადომ დააგვირგვინა და უბედნიერესი ვარ. მან უძლიერესად ითამაშა და დარწმუნებული ვარ, სამხრეთ აფრიკაზე გაცილებით ძლიერ ნაკრებებსაც დავამარცხებთ."

ჩიხლაძე — ფან დერ მერვე საათნახევარიც არ გაგრძელებულა. ქართველმა ისე დაჩაგრა აფრიკელი, გულშემატკივარი ერთხელ არ უნერვიულებია. განსაკუთრებით ეფექტური იყო ლადოს ზუსტი და ძლიერი მოწოდებები. სამი სეტის განმავლობაში მოწოდება არ გაუშვია, ორი ეისი მაინც რომ არ ჩაეგდო.

დამაგვირგვინებელ ქულას დიდი ზეიმი მოჰყვა. ნაკრების წევრები მიმლოცველებს თუ ავტოგრაფის მსურველებს ვერ აუდიოდნენ. ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხიც იშვიათად გვინახავს ასეთი გახარებული:

„ჩვენმა ბიჭებმა წარმოუდგენელი რამ შეძლეს. მოუგეს მეორე ჯგუფის უმთავრეს ფავორიტს და ივნისში პოლონეთსაც თუ სძლიეს, გაისად პირველ ჯგუფში ავინაცვლებთ. ეს სავსებით რეალურია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ პოლონეთი აფრიკაზე სუსტია. მეორეც, ლადო ჩიხლაძე საოცრად ათამაშდა. ბოლო ერთ წელიწადში იმხელა პროგრესი განიცადა, სულ არ გამიკვირდება, წლიეულსვე რომ შეაბიჯოს მსოფლიოს ასეულში."

**ოთარ მაღლაკელიძე**

**ბადრი კეთილაძის ფოტოები**

**მსოფლიო ჯგუფი**
მეოთხედფინალი
**ავსტრალია 5:0 ბელორუსია**
**საფრანგეთი 1:4 რუსეთი**
**ხორვატია 2:3 არგენტინა**
**აშშ 2:1 ჩილე** *(გვიან დამთავრდა)*



# თქვენი ინტერვიუ
# ზაზა ფაჩულიასთან

თქვენი მორიგი რესპონდენტი საქართველოს საკალათბურთო ნაკრების და „ატლანტა ჰოქსის“ ცენტრალური თავდამსხმელი ზაზა ფაჩულია იქნება.

მოგვაწოდეთ კითხვები და ნბა-ს ყველაზე წარმატებულ ქართველთან ინტერვიუ არაუგვიანეს 25 აპრილამდე გამოქვეყნდება.




მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

# ვარსკვლავები ჩამოწერით
## ოლ სტარი განტვირთავთ

*ორი ტურიც და რეგულარული ჩემპიონატი დასრულდება, თუმც, სანამ პლეი ოფი დაიწყებოდეს, კალათბურთის ფედერაცია ქომაგს განტვირთვის საშუალებას ევრეთ წოდებული ოლ სტარის სახით სთავაზობს. ყველა ვარსკვლავის თამაში და მისი თანმდევი კონკურსები შიდაჩემპიონატისგან განტვირთვისა და გართობის საუკეთესო საშუალებად ითვლება, თუმც როგორ გამოუვათ ეს ქართველ „ვარსკვლავებს“, 16 აპრილს ვერის ბაღში გამოჩნდება*



„აზოტის“ მეოლსტარე დუეტი: ჟოლივეტ ტუჯანი და ზვიად ბაბიაშვილი

ოლ სტარისთვის შემადგენლობები ჟურნალისტებმა და მწვრთნელებმა შეარჩიეს. 5-5 სასტარტო მედიელებმა, ხოლო 7-7 სათადარიგო ოლ სტარში მონაწილე გუნდების მწვრთნელებმა დაასახელეს.

გუნდები 31 მარტის სატურნირო ცხრილის მიხედვით ლუწ-კენტად დაწყვილდნენ და შერჩევაც მერეთა მოხდა. ანუ „თსუ“, „აზოტი“, „დინამო“, „ქუთაისი“ — „ავიამშენი“, სტუ, „მაკაბი“, სსუ-ს წინააღმდეგ.

ამ გუნდების წამყვანი მოთამაშეები ფედერაციამ ჩამოწერა და კალათბურთზე მწერალ ჟურნალისტებს ჩამოურიგა, რათა მათ საოლსტარო ხუთეულები შეედგინათ. გამოკითხვის შედეგებს ცალკე შემოგთავაზებთ, აქ კი მედიის შედგენილი ხუთეულები იხილეთ.

I გუნდი: ბესიკ ლეჟავა, ვაკო ბეჟანიშვილი (თსუ), რამაზ გოგობერიშვილი, ზვიად ბაბიაშვილი (აზოტი), ვლადიმერ სუხიშვილი (დინამო).

II გუნდი: ირაკლი ხოშტარია, კოტე ტულუში, გიორგი მარკოიშვილი (ავიამშენი), ლუკა შანიძე, რიჩარდ მათიაშვილი (სტუ).

ამის შემდეგ ამ გუნდების მწვრთნელებმა 7-7 სათადარიგო დაასახელეს, ოღონდ იმ პირობით, რომ თავიანთი კლუბებიდან 3 მოთამაშეზე მეტს არ აიყვანდნენ.

პირველი გუნდის თავკაცის, დავით უსტიაშვილისა (თსუ) და მისი თანაშემწის, ოთარ ხმელიძის (აზოტი) „სათადარიგო“ არჩევანი: ირაკლი ბერიშვილი, გიორგი მარხვაშვილი, მიხეილ ფანჩულიძე (თსუ), ჟოლივეტ ტუჯანი, დავით იმნაძე, ანატოლი ბოისა (აზოტი), ლექსო ლაფანაშვილი (დინამო).

მეორე გუნდის მწვრთნელებმა, ლევან მოსეშვილმა (ავიამშენი) და ლევან ჭეიშვილმა (სტუ) კი ეს 7 მოთამაშე შეარჩიეს სათადარიგოდ. ბუბა ბერიშვილი, პლასიდე როდუმტა, ამროსი ორმოცაძე (ავიამშენი), შიო ხეცურიანი, ზვიად მიქაძე, ირაკლი კეიდია (სტუ) და გიორგი შერმადინი (მაკაბი).

მაშ ასე, საოლსტარო მეტოქეები შეირჩნენ და 16 აპრილს ყველა ვარსკვლავის მატჩიც გამოცხვება. ოლ სტარი ხომ იმისაა, რომ მას

*გია პლატონიშვილი (საქართველოს რესპუბლიკა)*
I გუნდი: ი. ბერიშვილი, გოგობერიშვილი, ბაბიაშვილი, ბეჟანიშვილი, სუხიშვილი
II გუნდი: ტულუში, ხოშტარია, ხეცურიანი, მარკოიშვილი, მათიაშვილი

*ელენე ბილიხოძე (რადიო, I არხი)*
I გუნდი: მარხვაშვილი, გოგობერიშვილი, ბოისა, ბაბიაშვილი, სუხიშვილი
II გუნდი: ტულუში, ნიკოლაძე, ლ. შანიძე, კეიდია, მათიაშვილი

*ირაკლი პერტაია (სარბიელი)*
I გუნდი: ლეჟავა, გოგობერიშვილი, ბეჟანიშვილი, ბაბიაშვილი, იმნაძე
II გუნდი: ტულუში, ხოშტარია, ხეცურიანი, მარკოიშვილი, როდუმტა

*გოგა გვენცაძე (ტელე-იმედი)*
I გუნდი: ვ. მაისურაძე, გოგობერიშვილი, ბოისა, ბეჟანიშვილი, სუხიშვილი
II გუნდი: ტულუში, ნიჟარაძე, მარკოიშვილი, კეიდია, გ. შერმადინი

*ვაჟა სიმონიშვილი (სპორტი)*
I გუნდი: ვ. მაისურაძე, ლეჟავა, ფანჩულიძე, ბაბიაშვილი, სუხიშვილი
II გუნდი: ნიჟარაძე, ტულუში, მარკოიშვილი, ლ. შანიძე, გ. შერმადინი

*გიორგი გულბანი (საზოგადოებრივი ტელევიზია)*
I გუნდი: მარვახშვილი, გოგობერიშვილი, ფანჩულიძე, ბაბიაშვილი, ლ. ნოზაძე
II გუნდი: ტულუში, ლოსაბერიძე, მარკოიშვილი, ვაშაკიძე, გ. შერმადინი

*დავით ხვადაგიანი (მზე)*
I გუნდი: ლეჟავა, გოგობერიშვილი, ბეჟანიშვილი, ბაბიაშვილი, იმნაძე
II გუნდი: ტულუში, ხოშტარია, მარკოიშვილი, ლ. შანიძე, გ. შერმადინი

*დავით ფრანგიშვილი (რუსთავი 2)*
I გუნდი: მარხვაშვილი, გოგობერიშვილი, ტუჯანი, ბაბიაშვილი, სუხიშვილი
II გუნდი: ტულუში, ხოშტარია, ხეცურიანი, მარკოიშვილი, მათიაშვილი

*ზურაბ თალაკვაძე (სპორტი)*
I გუნდი: ლეჟავა, გოგობერიშვილი, ბეჟანიშვილი, ბაბიაშვილი, იმნაძე
II გუნდი: ტულუში, ბ. ბერიშვილი, ხეცურიანი, ლ. შანიძე, მათიაშვილი

*დავით ჭელიძე (ოლიმპი)*
I გუნდი: ლეჟავა, გოგობერიშვილი, ბეჟანიშვილი, ბაბიაშვილი, იმნაძე
II გუნდი: ტულუში, ბ. ბერიშვილი, მარკოიშვილი, ლ. შანიძე, მათიაშვილი

სხვა სახალისო კონკურსებიც ახლავს და 16-შიც ასე იქნება.

მეთხედებს შორის გაიმართება ჩატენვებისა და სამქულიანების კონკურსები, მატჩის ბოლოს კი ოლ სტარის საუკეთესო, ამერიკულად კი უძვირფასესი მოთამაშე გამოვლინდება. აი, მონაწილენიც:

ჩატენვების შეჯიბრი: მიხეილ ფანჩულიძე, ჟოლივეტ ტუჯანი, გიორგი ვაშაკიძე (მაკაბი) და ვახტანგ მინაშვილი (ავიამშენი).

სამქულიანები: გოჩა წოწელია, ბუბა ბერიშვილი (ავიამშენი), ირაკლი ბერიშვილი (თსუ), ლექსო ლაფანაშვილი (დინამო).



**სექტემბრის** საკვალიფიკაციოში საქართველოს ნაკრების უმთავრეს მეტოქე ავსტრიას გასულ კვირას ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს. A დივიზიონში ასანაცვლებელ საპლეიოფო ჯახში მაკედონიასთან დამარცხების შემდეგ ავსტრიელთა თავკაც მიხაელ შრიტვისერს პოსტი დაატოვებინეს, რის შემდეგაც ბარე 7 თვე ამ ქვეყნის ნაკრები უმწვრთნელოდ იყო. და აი, ავსტრიელებს ახალი დამრიგებელი ჰყავთ: „სენტ პიოლტენის“ 56 წლის მწვრთნელი ჰუბერტ შრეინერი.

# ავსტრიას ბუნდესთავი დაედგა: ჰუბერტი ჰერბერტის წინააღმდეგ

„კარგი არჩევანი გავაკეთეთ, როცა შრეინერს ნაკრები ჩავაბარეთ — თქვა ავსტრიის კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ერიხ ტეკამ — ჩვენ გვინდოდა ავსტრიელი მწვრთნელი, რომლის თვალწინაც მიმდინარეობს ჩემპიონატი და ყველა მოთამაშის ავანჩავანი იცის. შრეინერს დიდი გამოცდილება უმაგრებს ზურგს, მას „სენტ პიოლტენთან“ ერთად ავსტრიაშიც მიუღწევია წარმატებებისთვის და საერთაშორისო სარბიელზეც.“

შრეინერი „სენტ პიოლტენის“ სული და გულია, ამ გუნდის ბობოლებში ალზევება სწორედ მისი დამსახურებაა. ჰუბერტ შრეინერი უკვე თავკაცობდა ავსტრიელთა ეროვნულ გუნდს (1982-84), თუმც მისი სამწვრთნელო კარიერა „სენტ პიოლტენის“ წარმატებით უფრო ფასობს.

11 წლის განმავლობაში (1975-86) ის იყო ამ გუნდის მოთამაშე მწვრთნელი, ხოლო როცა სათამაშო კარიერა დაასრულა, პიოლტენელების ალმასვლაც მერეთა დაიწყო.

1993 წელს შრეინერის მეთაურობით „სენტ პიოლტენმა“ დაამხო ავსტრიაში „ფლაიერსისა“ და „ვენას“ ბატონობა. ამ წელს პიოლტენელები პირველად გახდნენ ჩემპიონები, რაც 1995-99 წლებში მიჯრით 5-ჯერ გაიმეორეს.

ამის შემდეგ შრეინერმა მწვრთნელობას თავი დაანება და 3 წლის განმავლობაში კალათბურთს არ გაკარებია. როცა „სენტ პიოლტენს“ გაუჭირდა და ქვედა დივიზიონში დაქვეითდა, შრეინერი ძველ პოსტს დაუბრუნდა და პირველივე სეზონში ბუნდესლიგაში დააბრუნა პიოლტენელები.

ერთი სიტყვით, შრეინერია კაცი, რომელიც ხუთი თითივით იცნობს ავსტრიულ კალათბურთს. ნაკრებში გაუფროსების შემდეგ, მან თქვა: „მე მსურს, ჩემი წინამორბედის კარგად დაწყებული საქმე გავაგრძელო და ავსტრია A დივიზიონში ავიყვანო. რა თქმა უნდა, ახალი იდეებით მოვდივარ, რის შედეგსაც მალე იხილავთ.“

შრეინერი ნაკრებში მუშაობას ავსტრიული ბუნდესლიგის დასრულების შემდეგ შეუდგება.

**ირაკლი პერტაია**

## NBA
### რეგულარული ჩემპიონატი

7 აპრილი

**ატლანტა 114:101 ვაშინგტონი**

ატლანტა: სმიტი (25), ფაჩულია (33 წუთი, 16 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება)

ვაშინგტონი: არენასი (41)

**ფინიქსი 107:96 ლეიკერსი**

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**ფილადელფია 99:109 ბოსტონი**

**ორლანდო 89:87 დეტროიტი**

**მემფისი 100:90 მილუოკი**

**მინესოტა 95:103 იუტა**

**ნიუ იორკი 98:96 ინდიანა**

**ნიუ ორლეანი 95:89 ტორონტო**

**სან ანტონიო 86:92 დალასი**

**პორტლენდი 108:121 სიეტლი**

**კლიპერსი 93:96 საკრამენტო**

**გ. სტეიტი 93:100 ჰიუსტონი**

8 აპრილი

**ნიუ ჯერსი 102:108 კლივლენდი**

**ჩიკაგო 75:89 ფილადელფია**

**დენვერი 95:92 გ. სტეიტი**

**ვაშინგტონი 86:99 მაიამი**

**დალასი 101:77 ნიუ ორლეანი**

**იუტა 110:93 პორტლენდი**

## ჩელენჯ ტროფი. ქალები

ბოსნია-ჰერცეგოვინა. 5-9 აპრილი

# განვითარებადი ვითარება







ბადრი კეთილაძის ფოტო

**საქართველოს** ქალ ხელბურთელთა ნაკრებმა ბოსნიაში დასრულებულ რიგით მეოთხე ჩელენჯტურნირზე ორივე საპლეიოფო მატჩი წააგო. შაბათს მასპინძლებთან ნახევარფინალური შეხვედრა — 16:49, წუხელ კი კვიპროსელებთან სამესამეადგილო დაპირისპირებაც — 18:23 (9:12). საწყენია, რომ ხელის ტრავმის გამო გუშინ მოედანზე არ ყოფილა გუნდის ყველაზე ტანმაღალი (182 სმ) მოთამაშე ირმა ციცქიშვილი.

ერთი სიტყვით, მოთამაშე-მწვრთნელის ელისო ჟურულიშვილის გოგოები პრიზიორთა შორის ვერ მოხვდნენ და ჩვენსავით განვითარებადი რვა სახელბურთო ქვეყნის გუნდებში მეოთხენი იყვნენ.

2002 წელს ბაქოში გამართულ ექვსგუნდა ტურნირში საქართველოს ნაკრები მეხუთე ადგილზე გავიდა.

გუშინ ფინალში ერთმანეთს „ჩელენჯ ტროფის" პირველი გამარჯვებული (2000) ბოსნიელები და შარშანწინდელი მეორე პრიზიორი ფარერელები შეხვდნენ. ფავორიტ მასპინძლებს გამარჯვება არ გასჭირვებიათ — 40:24.

# რაღა დარჩა...

## პარასკევს პოლონეთია

**გუშინ** ბაქოდან, ათდღიანი შეკრებიდან დაბრუნდა საქართველოს ოცწლამდელ ხელბურთელთა ნაკრები, რომელიც ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის ემზადება. ირაკლი კეკელიძისა და ბექა ორჯონიკიძის ბიჭებს 14-16 აპრილს თბილისის სპორტის სასახლეში რუმინელ, პოლონელ და კვიპროსელ თანატოლებთან მოუწევთ გაჯიბრება.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი ირაკლი კეკელიძე კმაყოფილია აზერბაიჯანული მზადებით — მასპინძლებს ჩინებული პირობები შეუქმნიათ. ბიჭები ვარჯიშობდნენ და თამაშობდნენ აზერბაიჯანის ჩემპიონ ქალთა გუნდის ABU-ს შესანიშნავ კომპლექსში, რომლის მსგავსი ევროპის ბევრ წამყვან სახელბურთო ქვეყანასაც არა აქვს. ჩვენებმა ექვსი მატჩი გამართეს მასპინძელთა პირველ და ახალგაზრდულ ნაკრებებთან და ბაქოს „ტაპსილთან". სამი თამაში მოიგეს (მათ შორის ერთი პირველ ნაკრებთან), ერთი ფრედ დაასრულეს და ორჯერაც დამარცხდნენ.

კეკელიძემ გამორჩეულად აღნიშნა დაცვის საიმედო თამაში, შეტევისას კი ყველაზე შედეგიანი იყო გუნდის მთავარმეგოლე რატი მსხვილიძე.

ნაკრების წევრები ხვალიდან საქართველოს ჩემპიონ „სტუ-შევარდენის" ბაზაზე გადავლენ შეკრებაზე და ტურნირამდე დარჩენილ სამ დღეში სპორტის სასახლესა და სტუ-ს დარბაზში ორჯერად ვარჯიშებს ჩაატარებენ.

ჯგუფის ფავორიტებად რუმინელი ხელბურთელები ითვლებიან. საქართველოს ნაკრებს პირველი მატჩი პარასკევს პოლონელ თანატოლებთან აქვთ. შეგახსენებთ, მომდევნო ეტაპზე მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გავა.

**გია ახალაძე**

# ნამიბიას საქართველო კაცნაკლულიც ჯობს

**დუბაიში,** 19-წლამდელთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო. სამხრეთ კორეას შემდეგ ამჯერად ჩვენებმა ნამიბიის ნაკრები დაამარცხეს — 14:6.

ქართველები სამჯერ იყვნენ უმცირესობაში — კანადელმა მსაჯმა პირველ ტაიმში ლევან გენებაშვილი და გიორგი ლომსაძე გააგდო ათი წუთით, მეორე ტაიმში კი მამუკა ნინიძე გაასინბინა, მაგრამ ამან ჩვენები ვერ გატეხა. პირიქით, პირველი ლელო სწორედ უმცირესობაში გაიტანეს ჭაბუკმა ბორჯღალოსნებმა — ეს გიორგი ლომსაძემ შეძლო. მეორე ტაიმში ვახტანგ მძინარიშვილმა გამარჯვების ლელო გაიტანა. ლელოები ბექა მეკოკიშვილმა და ლევან გენებაშვილმა გარდასახეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები ქვედა, 16 გუნდა „B" ჯგუფში თამაშობს და საგაისოდ ელიტარული თექვსმეტეულში მოხვედრისათვის იბრძვის. ელიტიდან ჩვენები შარშან გავარდნენ, იქ მოხვედრა კი მხოლოდ „B" ჯგუფის გამარჯვებულს შეუძლია.

მომდევნო მატჩს ქართველები 12 აპრილს საკმაოდ ძლიერ ტონგოსთან გამართავენ და თუ მოიგეს, ელიტაში დასაწინაურებლად პლეიოფში გააგრძელებენ ბრძოლას.

ერთიც: ჩვენებს ტურნირზე 10 ლელო დაუგროვდათ და ამ მაჩვენებლით 32 გუნდში მეოთხე ადგილზე არიან. ქართველებს იტალია (21 ლელო), ფიჯი (13) და ავსტრალია (12) უსწრებენ.

# შოტლანდიამ საქართველო ირლანდიასთან გაუშვა

**მარცხით** დაიწყეს 18-წლმდელმა ბორჯღალოსნებმა ევროპის ჩემპიონატი. ვენეციის შემოგარენში ჩვენმა 18-წლამდელებმა სარაგბო გრანდ შოტლანდიასთან 15:28 წააგეს.

შარშან ქართველებმა საფრანგეთში მე-5 ადგილი დაიკავეს და წლეულს ელიტარულ რვეულში რაგბობენ. მათი პროგრამა-მინიმუმი ახლაც ელიტაში დარჩენაა. რვა ელიტარული გუნდის ტურნირში ყველა ადგილი თამაშდება — ყველა შემთხვევაში ქართველებს კიდევ ორი მატჩი აქვთ სათამაშო. ელიტიდან მხოლოდ ბოლოადგილოსანი ვარდება.

მომდევნო მატჩს ჩვენი 18-წლამდელები 12 აპრილს ირლანდიასთან გამართავენ, რომელმაც გუშინ მასპინძელ იტალიასთან 5:24 წააგო.

**ბაჩო სვანიძე**



## ევროპის ჩემპიონატი

3-16 აპრილი. კუშადასი. თურქეთი

### VI ტური

კაცები

**მიხეილ მჭედლიშვილი** (საქართველო) 0,5:0,5 ალექსანდრ მოისეენკო (უკრაინა)
ალექსეი ილიუშინი (რუსეთი) 0,5:0,5 **მერაბ გაგუნაშვილი** (საქართველო)
**ზვიად იზორია** (საქართველო) 0,5:0,5 ბართლომეო მაჩეია (პოლონეთი)
პრედრაგ ნიკოლიჩი (ბოსნია) 1:0 **ბაადურ ჯობავა** (საქართველო)
**გიორგი ყაჭეიშვილი** (საქართველო) 0,5:0,5 დმიტრი სვეტუშკინი (მოლდავეთი)
**ლევან აროშიძე** (საქართველო) 0,5:0,5 კონსტანტინ საკაევი (რუსეთი)
იური კუზუბოვი (უკრაინა) 0:1 **კონსტანტინე შანავა** (საქართველო)
ალექსანდრ გალკინი (რუსეთი) 0,5:0,5 **დავით არუთინიანი** (საქართველო)

ქალები

ალინა მოტოკი (რუმინეთი) 0:1 **სოფიო გვეტაძე** (საქართველო)
**ნანა ძაგნიძე** (საქართველო) 0:1 მარია ველჩევა (ბულგარეთი)
პეტრა შუურმანი (ჰოლანდია) 0:1 **მაია ლომინეიშვილი** (საქართველო)
**ბელა ხოტენაშვილი** (საქართველო) 1:0 ზაოგინ პენგი (ჰოლანდია)
ელინა დანიელიანი (სომხეთი) 1:0 **ანა გავაშელი** (საქართველო)
ირინა ჩელუშკინა (სერბია-ჩერნოგორია) 0,5:0,5 **ლელა ჯავახიშვილი** (საქართველო)
ჯოანა მაიდანი (პოლონეთი) 0,5:0,5 **ნინო ხურციძე** (საქართველო)
ეკატერინ ფახირიდუ (საბერძნეთი) 0:1 **ქეთევან არახამია-გრანტი** (საქართველო)
კაროლინა სმოკინა (მოლდავეთი) 1:0 **სალომე მელია** (საქართველო)



# შეჯიბრება საკუთარ თავთან

## ძველ ბუღალტერიაშიც გარღვევაა

**რუსთაველმა** კირილ შირიაევმა შანხაის „მოკლე წყალში" მსოფლიოს ჩემპიონატზე 50 და 100 მეტრზე გულაღმა ცურვის შემდეგ, ეტყობა, დებიუტანტისთვის დამახასიათებელი მღელვარება გადალახა. ყოველ შემთხვევაში, 200 მეტრზე თავისი საუკეთესო შედეგი (2.10,81) გაიმეორა. ამ მაჩვენებლით მან 33 მოცურავეში, რომელთაგან ხუთს შედეგი არ ჩაეთვალა, 22-ე ადგილი დაიკავა. ოღონდ შირიაევის ეს შედეგი ძალზე ჩამორჩება წინასწარ გაცურვებში გამარჯვებული ამერიკელის რაიან ლოჩტის დროს — 1.51,45.

გუშინ კი 200 მეტრზე ფინალური გაცურვისას 21 წლის ლოჩტი უფრო შორს წავიდა, ავსტრალიელი მარკუს როგანის შარშანდელი მსოფლიოს რეკორდი (1.50,43) გააუმჯობესა — 1.43,05 და ოქროს მედალიც მოიპოვა. აწ უკვე მსოფლიოს ექსრეკორდსმენი როგანი კი მეორე იყო — 1.50,97.



AFP

წინათ, საბჭოეთისას, ჩვენი მოცურავეების შედეგების ანალიზისას ხშირად მიმართავდნენ მოკავშირე რესპუბლიკების სპორტსმენთა მიღწევებთან შედარებას. თუ ამგვარ შედარებას კვლავ მოვიმარჯვებთ, ვნახავთ, რომ ამ სახეობაში ჩვენებური მნიშვნელოვნად ჩამორჩა რუსეთის ერთ (1.56,62) და უკრაინის ორ მოცურავეს (1.58,35 და 2.03,02).

რაც შეეხება თბილისელ ივანე ლეგვთაძეს, მან ბოლოს 50 მეტრზე ბრასით იცურავა, თავისი საუკეთესო შედეგი გაიმეორა (30.23) და 73 მოცურავეს შორის, რომელთაგან შედეგი 68-ს ჩაეთვალა, 50-ე ადგილზე გავიდა. წინასწარ გაცურვაში კი ფინიშთან პირველი იყო უკრაინელი ოლეგ ლისოგორი (26,99). ყოფილ საბჭოელთაგან ლეგვთაძეზე წინ აღმოჩნდა კიდევ ერთი უკრაინელი, ორი რუსი, ერთი ყაზახი და ერთიც ლატვიელი.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

**სამშენებლო კომპანია „IBC" აცხადებს კონკურსს ტექნიკური დირექტორის თანამდებობაზე**

აუცილებელი მოთხოვნები:
1. უმაღლესი ტექნიკური განათლება სამშენებლო სფეროში;
2. მუშაობის გამოცდილება სამშენებლო სფეროში ხელმძღვანელ თანამდებობაზე;
3. უცხო ენები: ინგლისური, რუსული (სასურველია თურქული);
4. კომპიუტერული პროგრამები (Office programs; Archicad; AutoCad).

სამუშაო ვალდებულებები:
1. საპროექტო დოკუმენტაციასთან მუშაობა;
2. მშენებლობის ორგანიზაციის დაგეგმვა;
3. ობიექტების მშენებლობის კორდინირება.

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 25 აპრილი

დაინტერესებულმა პირებმა გადმოაგზავნონ თავიანთი CV, ფოტოსურათი და დიპლომის ასლი შემდეგ მისამართზე: hr@ibc.ge

# სარბიელი და კრონო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**ინგლისი. I ლიგა**

**11 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 46 | კოლჩესტერი-ჰარტლპული | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 22:45 | 47 | ვოლსოლი-ბორნმუთი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 22:45 | 48 | სუონსი-სუინდონი | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |

**ინგლისი. II ლიგა**

**11 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 72 | როჩდეილი-კარლაილი | 3.20 | 3.20 | 2.05 | 1.60 | 1.24 | 1.24 |

**ინგლისი. კონფერენსი**

**10 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 95 | საუთპორტი-უოკინგი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 22:45 | 96 | გრეისი-ექსეტერი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |

**11 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 97 | დაგ ენდ რედი-ალტრინჰემი | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 18:00 | 563 | სკარბორო-ტემუორთი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |

**შოტლანდია. I დივიზიონი**

**11 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 119 | დანდი-ბრეჩინი | 1.50 | 3.80 | 5.00 | 1.07 | 1.15 | 2.15 |

**შოტლანდია. II დივიზიონი**

**11 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 125 | გრეტნა-სტირლინგი | 1.37 | 4.20 | 6.00 | 1.03 | 1.11 | 2.47 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

**10 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 146 | დინამო-კარლსრუე | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |

**იტალია. სერია B**

**10 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 226 | მანტოვა-ბოლონია | 2.15 | 2.60 | 3.80 | 1.17 | 1.37 | 1.54 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

**10 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 280 | ვალენსიენსი-გენგამი | 1.70 | 3.10 | 5.00 | 1.09 | 1.26 | 1.91 |

**პორტუგალია. სუპერლიგა**

**10 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 332 | პენაფიელი-ბოავიშტა | 3.80 | 3.30 | 1.80 | 1.76 | 1.22 | 1.16 |

**ჩეხეთი**

**10 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:45 | 564 | ლიბერეცი-ტეპლიცე | 1.95 | 3.10 | 3.50 | 1.19 | 1.25 | 1.64 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

**10 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 458 | ფრედრიკსტადი-ბრანი | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

**10 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 465 | ელფსბორგი-გიოტებორგი | 2.25 | 3.30 | 2.80 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 21:00 | 466 | იორგრიტე-მალმიო | 3.90 | 3.40 | 1.75 | 1.81 | 1.20 | 1.15 |
| 21:00 | 467 | იოსტერსი-აიკ | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 22:00 | 468 | იურგორდენი-ჰამარბი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |

**საფრანგეთი. თასი**

**11 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:15 | 530 | პსჟ-ლილი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 23:00 | 531 | ლიონი-მარსელი | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### თურქეთი

**სუპერლიგა. XXIX ტური**

დიარბაქირი — გალათასარაი 1:3; ანკარა — გაზიანთეფი 3:0; ბეშიქთაში — მალათია 2:2; დენიზლი — ერჯიესი 1:1; ქაისერი — ანკარაგიუჯიუ 1:2; რიზე — მანისა 4:1; სამსუნი — კონია 1:1; გენჩლერი — ტრაბზონი 1:0; ფენერბაჰჩე — სივასფორი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 29 | 22 | 5 | 2 | 75:24 | 71 |
| გალათასარაი | 29 | 22 | 5 | 2 | 69:27 | 71 |
| ბეშიქთაში | 29 | 13 | 8 | 8 | 46:33 | 47 |
| გენჩლერი | 29 | 13 | 8 | 8 | 41:29 | 47 |
| ქაისერი | 29 | 13 | 6 | 10 | 46:34 | 45 |
| ტრაბზონი | 29 | 12 | 7 | 10 | 37:36 | 43 |
| კონია | 29 | 11 | 9 | 9 | 37:35 | 42 |
| ერჯიესი | 29 | 8 | 13 | 8 | 31:38 | 37 |
| მანისა | 29 | 10 | 6 | 13 | 44:47 | 36 |
| სივასფორი | 29 | 8 | 12 | 9 | 27:34 | 36 |
| რიზე | 29 | 8 | 11 | 10 | 26:31 | 35 |
| ანკარაგიუჯიუ | 29 | 8 | 9 | 12 | 36:41 | 33 |
| ანკარა | 29 | 7 | 11 | 11 | 38:42 | 32 |
| გაზიანთეფი | 29 | 7 | 9 | 13 | 27:46 | 30 |
| დენიზლი | 29 | 7 | 8 | 14 | 33:43 | 29 |
| დიარბაქირი | 29 | 7 | 5 | 17 | 29:61 | 26 |
| სამსუნი | 29 | 5 | 9 | 15 | 38:57 | 24 |
| მალათია | 29 | 5 | 9 | 15 | 26:48 | 24 |

### საბერძნეთი

**ეროვნული ლიგა. XXVII ტური**

ოლიმპიაკოსი — ეგალეო 5:1; კალამარია — კალითეა 0:0; იონიკოსი — ირაკლისი 1:1; ლევადიაკოსი — ლარისა 3:0; ოფი — აკრატიტოსი 2:2; პანათინაიკოსი — ატრომიტოსი 4:3; პაოკ — აეკ 2:1; ქსანთი — პანიონიოსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 27 | 23 | 0 | 4 | 60:18 | 69 |
| პანათინაიკოსი | 27 | 19 | 4 | 4 | 48:22 | 61 |
| აეკ | 27 | 19 | 3 | 5 | 39:20 | 60 |
| ირაკლისი | 27 | 13 | 6 | 8 | 35:26 | 45 |
| პაოკ | 27 | 12 | 7 | 8 | 39:26 | 43 |
| ქსანთი | 27 | 12 | 7 | 8 | 28:23 | 43 |
| ატრომიტოსი | 27 | 10 | 6 | 11 | 31:33 | 36 |
| ლარისა | 27 | 9 | 8 | 10 | 28:32 | 35 |
| კალამარია | 27 | 8 | 8 | 11 | 27:33 | 32 |
| ეგალეო | 27 | 8 | 8 | 11 | 22:33 | 32 |
| იონიკოსი | 27 | 6 | 11 | 10 | 33:38 | 29 |
| ლევადიაკოსი | 27 | 7 | 7 | 13 | 20:29 | 28 |
| ოფი | 27 | 5 | 10 | 12 | 19:34 | 25 |
| პანიონიოსი | 27 | 6 | 5 | 16 | 24:44 | 23 |
| აკრატიტოსი | 27 | 4 | 6 | 17 | 18:40 | 18 |
| კალითეა | 27 | 3 | 8 | 16 | 22:42 | 17 |

### ჩეხეთი

**გამბრინუს ლიგა XXIV ტური**

სპარტა — სლავია 2:1; იჰლავა — ბანიკი 0:1; სლოვაცკო — ბლშანი 2:0; ბრნო — სიგმა 1:1; ბოლესლავი — ზლინი 2:0; მოსტი — იაბლონეცი 3:0; პრჟიბრამი — პლზენი 2:0. ლიბერეცი — ტეპლიცე დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 23 | 14 | 7 | 2 | 33:14 | 49 |
| ტეპლიცე | 23 | 10 | 11 | 2 | 30:18 | 41 |
| ბოლესლავი | 23 | 12 | 5 | 6 | 37:28 | 41 |
| სლავია | 23 | 11 | 7 | 5 | 40:27 | 40 |
| სპარტა | 23 | 9 | 5 | 9 | 33:31 | 32 |
| იაბლონეცი | 24 | 9 | 5 | 10 | 31:32 | 32 |
| სიგმა | 23 | 9 | 5 | 9 | 29:33 | 32 |
| მოსტი | 24 | 9 | 3 | 12 | 25:31 | 30 |
| პრჟიბრამი | 23 | 7 | 8 | 8 | 30:26 | 29 |
| ბანიკი | 22 | 7 | 6 | 9 | 19:22 | 27 |
| ზლინი | 22 | 7 | 6 | 9 | 18:23 | 27 |
| სლოვაცკო | 24 | 6 | 8 | 10 | 23:27 | 26 |
| პლზენი | 24 | 5 | 9 | 10 | 24:30 | 24 |
| ბრნო | 22 | 4 | 11 | 7 | 22:24 | 23 |
| ბლშანი | 23 | 4 | 10 | 9 | 16:31 | 22 |
| იჰლავა | 22 | 4 | 8 | 10 | 14:27 | 20 |

### პოლონეთი

**I ლიგა. XXIII ტური**

ლეხი — ვისლა 2:1; პოლონია — ლეგია 0:2; კორონა — არკა 1:0; ზაგლებე — ამიკა 2:0; კრაკოვია — გროცლინი 1:3; ოდრა — ბელხატოვი 0:2; პოგონი — ლეჩნა 2:1; პლოცკი — გურნიკი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 23 | 15 | 5 | 3 | 37:12 | 50 |
| ვისლა | 23 | 13 | 7 | 3 | 36:17 | 46 |
| ამიკა | 23 | 11 | 6 | 6 | 39:21 | 39 |
| ზაგლებე | 22 | 11 | 5 | 6 | 37:24 | 38 |
| ლეხი | 22 | 9 | 6 | 7 | 34:34 | 33 |
| კორონა | 22 | 8 | 8 | 6 | 32:26 | 32 |
| პოგონი | 22 | 8 | 7 | 7 | 25:25 | 31 |
| პლოცკი | 22 | 9 | 4 | 9 | 28:31 | 31 |
| ოდრა | 23 | 7 | 7 | 9 | 18:24 | 28 |
| გროცლინი | 22 | 7 | 5 | 10 | 28:34 | 26 |
| კრაკოვია | 23 | 7 | 5 | 11 | 24:38 | 26 |
| ბელხატოვი | 23 | 6 | 7 | 10 | 22:29 | 25 |
| ლეჩნა | 22 | 4 | 11 | 7 | 17:20 | 23 |
| არკა | 23 | 4 | 11 | 8 | 17:24 | 23 |
| გურნიკი | 22 | 6 | 4 | 12 | 22:33 | 22 |
| პოლონია | 23 | 4 | 4 | 15 | 15:39 | 16 |

### დანია

**სუპერლიგა. XXVI ტური**

ბრონდბიუ — ოლბორგი 4:3; სილკებორგი — მიდტიულანდი 0:0; ჰორსენსი — სიონდერისკე 2:0; ნორდსიელანდი — ორჰუსი 3:1; ვიბორგი — ოდენსე 2:2; კოპენჰაგენი — ესბიერგი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 25 | 18 | 5 | 2 | 50:20 | 59 |
| ბრონდბიუ | 26 | 18 | 3 | 5 | 51:25 | 57 |
| ვიბორგი | 26 | 13 | 6 | 7 | 49:34 | 45 |
| ოდენსე | 26 | 12 | 6 | 8 | 38:26 | 42 |
| ნორდსიელანდი | 25 | 8 | 8 | 9 | 40:38 | 32 |
| ესბიერგი | 26 | 9 | 5 | 12 | 32:34 | 32 |
| მიდტიულანდი | 26 | 8 | 8 | 10 | 33:42 | 32 |
| ჰორსენსი | 26 | 6 | 13 | 7 | 23:30 | 31 |
| ოლბორგი | 26 | 7 | 9 | 10 | 39:40 | 30 |
| სილკებორგი | 26 | 8 | 6 | 12 | 24:39 | 30 |
| ორჰუსი | 26 | 3 | 8 | 15 | 30:54 | 17 |
| სიონდერისკე | 26 | 3 | 7 | 16 | 31:58 | 16 |

რეკლამა
სარბიელ-ში
38-11-14, 877 54 55 00

# ჩელსიმ პატრონ ტაში მოიხდინა

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### XXXIII ტური

**პორტსმუთი 2:2 ბლექბერნი**

0:1 ბელამი (32), 1:1 ლუა ლუა (41), 1:2 ბელამი (62), 2:2 ტოდოროვი (78)
პორტსმუთი: კაილი, პრიმუსი, პრისკე, სტეფანოვიჩი, მეთიუ ტეილორი, დალესანდრო, შ. დევისი (რუტლეჯი 68), გ. ონილი, პ. მენდეში, ლუა ლუა, მვარუვარი (ს. ტოდოროვი 68)
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
ბლექბერნი: ფრიდელი, ნილი, ხიზანიშვილი, ნელსენი, მ. გრეი (მოკოენა 46), ბენტლი, ს. რიდი, სევიჯი, მ. პედერსენი (ემერტონი 82), დიკოვი, ბელამი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: დიკოვი, მენდეში, ბელამი, ემერტონი
მსაჯი: ბენეტი
20 048 მაყურებელი

**ჩელსი 4:1 ვესტ ჰემი**

0:1 კოლინზი (10), 1:1 დროგბა (28), 2:1 კრესპო (31), 3:1 ტერი (54), 4:1 გალასი (69)
ჩელსი: ჩეხი, ჯერემი, ტერი, გალასი, დელ ორნო, მაკელელე, ლამპარდი, ესიენი (რ. კარვალიუ 90), მანიშე, კრესპო (რობენი 66), დროგბა (ჯ. კოული 90)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, მალინსი, გაბიდონი, ჯ. კოლინზი, კონჩესკი, სკალონი, ბენაიუნი (შერინგემი 72), რეოკოკერი, ეზერინგტონი, ეშტონი (ზამორა 84), ჰერვუდი
მწვრთნელი: ალან პერდიუ
გაფრთხილება: ჰერვუდი, კონჩესკი
გაძევება: მანიშე (17)
მსაჯი: ფოი
41 919 მაყურებელი

**მანჩესტერი 2:0 არსენალი**

1:0 რუნი (54), 2:0 პარკი (78)
მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, სილვესტრი, რონალდუ, ოში, გიგზი, პარკი (ევრა 84), ვან ნისტელროი (საა 62), რუნი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
არსენალი: ლემანი, ებუ, კ. ტურე, სენდეროსი, ფლამინი, გლები (ლიუნგბერგი 74), ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი (დიაბი 69), პირესი, ვან პერსი (ანრი 69), ადებაიორი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ჟილბერტო სილვა, ვიდიჩი, ოში, სილვესტრი
მსაჯი: პოლი
70 908 მაყურებელი

**ლივერპული 1:0 ბოლტონი**

1:0 ფაულერი (45)
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ჯ. სისე (ლუის გარსია 46), ჯერარდი, ხაბი ალონსო, კიუელი (ჯ. ტრაორე 88), კროუჩი, ფაულერი (ჰამანი 75)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ბოლტონი: იასკელაინენი, ბენ ჰაიმი, ჰანტი, ნგოტი, აბდულა ფეიე (კამპო 74), რ. გარდნერი, იანაკოპულოსი (ჰ. პედერსენი 53), კ. ნოლანი, ოკოჩა (მ. იანსენი 61), სპიდი, კევინ დევისი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: ფეიე, ჰიიპია
მსაჯი: სტაილზი
44 194 მაყურებელი

**ტოტენჰემი 2:1 სიტი**

1:0 სტალტერი (44), 2:0 კარიკი (49), 2:1 სამარასი (52)
ტოტენჰემი: პ. რობინსონი, სტალტერი, კინგი, ე. გარდნერი, ი. ლი, კარიკი, ჯენასი, ა. ლენონი (დეფო 82), ტაინიო (დავიდსი 89), რობი კინი, მიდო
მწვრთნელი: მარტინ იოლი
სიტი: ჯეიმსი, დ. მილსი (რიერა 59), რ. დანი, დისტინი, რიჩარდსი, ტეტჩერი, მუსამპა, კ. რეინა (სიბიერსკი 79), სისოკერი, ვასელი, სამარასი
მწვრთნელი: სტიუარტ პირსი
გაფრთხილება: ვასელი, რიჩარდსი, ტეტჩერი
მსაჯი: გალაჰერი
36 167 მაყურებელი

**ჩარლტონი 0:0 ევერტონი**

ჩარლტონი: მირე, სპექტორი, პერი, სორონდო, ჰრეიდარსონი, კიშიშევი (რომედალი 65), ჰოლანდი, ბოტროიდი (ბარტლეტი 65), მ. ბენტი, იუელი, ტომა (ამბროზი 78)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ევერტონი: რ. რაიტი, სტაბსი, ჰიბერტი, ფ. ნევილი, იობო, არტეტა, ჩეჰილი, კარსლი, ოსმანი (საიმონ დევისი 84), ბიტი (დ. ფერგიუსონი 80), მაკფადენი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
გაფრთხილება: ჰიბერტი, მაკფადენი
მსაჯი: უოლტონი
26 954 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:2 ნიუკასლი**

0:1 ბოატენგი (29ს.კ.), 0:2 ამეობი (44), 1:2 ბოატენგი (79)
მიდლსბრო: შვარცერი, რიგოტი, ეჰიოგუ, კედრუ (ე. ტეილორი 46), ე. დევისი (მაკარონე 62), ჯ. ბოატენგი, დორივა, ე. ჯონსონი (ვიდუკა 46), ჯ. მორისონი, როჩემბაკი, აიეგბენი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ნიუკასლი: გივენი, ს. კარი, კ. მური, რ. ელიოტი, ბრამბლი, ბოიერი, ემრე (ამდი ფეიე 81), ნზოგბია, სოლანო (დაიერი 66), შირერი, ამეობი
მწვრთნელი: გლენ როიდერი
გაფრთხილება: ემრე, ამეობი, მური, როჩემბაკი, მაკარონე, ნზოგბია
მსაჯი: ვაილი
31 202 მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:0 ვესტ ბრომვიჩი**

ასტონ ვილა: სორენსენი, ა. ჰიუზი, რიდგუელი, გ. ჩეჰილი, ბუმა, სტივენ დევისი, გ. მაკკანი, ლ. ჰენდრი (კ. გარდნერი 34), აგბონლაჰორი, ბაროში, ფილიპსი (ლ. მური 74)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ვესტ ბრომვიჩი: კუშჩაკი, უოლვორკი (ინამოტო 83), კლემენტი, კერტის დევისი, პ. რობინსონი, ს. უოტსონი, ჯ. გრინინგი, ქვოში, კ. კემპბელი (ნ. კანუ 79), გერა, დ. კამარა (ნიკოლსონი 79)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: რობინსონი, ჩეჰილი, უოლვორკი
მსაჯი: ჰალსი
33 303 მაყურებელი

**უიგანი 1:1 ბირმინგემი**

1:0 იოჰანსონი (49), 1:1 დანი (77)
უიგანი: ფილანი, ჩიმბონდა, ბაინსი (ციგლერი 42), შარნერი, დე ზეუვი, ბალარდი, ა. იოჰანსონი (ა. კამარა 79), კავანაფი, მაკკალოხი, რობერტსი, ტილი
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, კანინგემი, სედლერი, მარტინ ტეილორი, ტებილი, იზეტი (დ. დანი 65), იაროშიკი, დ. ჯონსონი, პენანტი, ჰესკი, სატონი (ფორსელი 65)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: ტებილი, პენანტი
მსაჯი: ვები
18 669 მაყურებელი

**სანდერლენდი — ფულემი**

*0:1-ზე დიდთოვლობის გამო შეწყდა*



AFP ლონდონიდან

დროგბამ და კრესპომ „ჩელსის" კაცნაკლულობა არ აგრძნობინეს

„ჩელსის" კვირას უკანდასახევი გზა აღარ ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს, შეგიძლია თუ არა ჩემპიონობაო, ასე იყო საქმე. ჰოდა, „ჩელსიმაც" სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში გამოადნო და „ოლდ ტრეფორდს" დაუმესიჯა: ჩვენ ვართ ჩემპიონებიო. არადა, თამაში „ვესტ ჰემთან" საშინლად დაიწყო. მაურინიუს გუნდს კოლინზმა გაუტანა ურთულესი თავურით, მერე კი მანიშე გააძევეს სკალონისთან შეჯახებისას ფეხის დაუნდობლად მოქნევისთვის. ოღონდაც, ლურჯების გამჩერებელი მაინც არავინ იყო: ძელები ზანზარებდა, დიდიე დროგბა და ერნან კრესპო კი ფრენკ ლამპარდის პასებს კარისწინ იგებდნენ. დროგბამ საერთოდაც ზურგზე წამოიკიდა თამაში და ათრია. ათი კაცი ისე თამაშობდა, როგორც 15 და „ვესტ ჰემსაც" არაფერი გამოუვიდა. რაც მაურინიუმ ამ თამაშისას იყვირა და მუშტები იქნია ალბათ „სტემფორდ ბრიჯზე" მისულ არც ერთ ფანს არ უყვირია. თვით აბრამოვიჩიც კი ტაშისცემით, დგომელა ხარობდა და იცინოდა.

მიჯრით მეცხრედ მოიგო „მანჩესტერმა" და რაკი ეს მეცხრე „არსენალთან" მიითვალა, მით უფრო საამოა ალექს ფერგიუსონისთვის. იენს ლემანს ხომ ზედიზედ რამდენიმე შეხვედრაში არ გაეშვა გოლი და უეინ რუნიმ გერმანელის კარს გასაღები მოარგო. რუნი გამოდგა ამ მატჩის გმირი, რადგან გაიტანა კიდეც და მერე საგოლე პასი მიითვალა. „მანჩესტერსა" და „ჩელსის" შორის სხვაობა ისევ შვიდი ქულაა, ეს გუნდები 29 აპრილს „სტემფორდ ბრიჯზე" ხვდებიან.

ჩემპიონთა ლიგას ეზომება „ტოტენჰემი", რომელმაც „სიტის" მოუგო და პირველ ტაიმში ძალიან მაგარი ფეხბურთი აჩვენა. „სიტიმ" კი რაგინდარა შეჯიბრებაში ზედიზედ მეხუთედ წააგო. ასეთი მარცხიანი სერია კლუბს ათი წელია, არ ჰქონია, ანუ მას შემდეგ, რაც სიტელთა შედეგებს მთელი საქართველო ელოდა, მწვრთნელი კი ალან ბოლი იყო. მაშინ გუნდი გავარდა, თუმცა ახლა ამგვარი რამ არ ემუქრება, უბრალოდ, სტიუარტ პირსი უფრო და უფრო მოღუშული ხდება. პირსმა თქვა: „თამაშის ბოლო ძალიან მაგარი გამოგვივიდა. თუ იმ კვირაში „ვესტ ჰემთან" მატჩს ასე დავიწყებთ, მოვიგებთ".

საოცრებებს აგრძელებენ „პორტსმუთი" და მისი მწვრთნელი ჰარი რედნაპი. ჰარის გუნდმა ქულა იშოვნა თითქმის იმედგაცრუებულ მატჩში. ზღვისპირელებს ბლექბერნი სტუმრობდა და ვინც იტყვის, რომ კრეიგ ბელამი რაიმეთი ჩამოუვარდება მსოფლიოს უდიდეს ფეხბურთელებს, მისი გოლები უნდა აჩვენო. უელსელმა კვლავ დუბლი შეასრულა და „ბლექბერნიც" თითქოსდა მზად იყო, ჩემპიონთა ლიგის საგზურს წაპოტინებოდა. მაგრამ „პორტსმუთმა" იმდენი შანსი შექმნა, რომ ინგლისში განთქმული დაცვითი სისტემაც ვერ აუვიდა. ჯერ ლუა ლუამ გაიტანა კოხტა დარტყმით, გამთანაბრებელი კი შეცვლაზე შესულმა ტოდოროვმა შეაგდო.

— „ფლეტონ პარკი" ძნელი ადგილია სათამაშოდ, ასე რომ, კარგი ქულა შეგვხვდა — აღიარა ნამატჩევს მარკ ჰიუზმა. კრეიგ ბელამის კი ჰკითხეს, „ნიუკასლში" შენი გზა დაკარგე და „ბლექბერნში" კვლავ თუ იპოვეთო, რაზეც ლოთბაზარობით და ქალებთან უხეში მოქცევით ცნობილმა ცეროდენა უელსელმა მიუგო, არასოდეს არაფერი დამიკარგავს, სადაც ჩემი სჯერათ, იქ ყველაფერი გამომდისო.

**ირაკლი ბამყრელიძე**
*ლონდონიდან*



AFP მანჩესტერიდან

უეინ რუნიმ გოლი და საგოლე პასი მითვალა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 33 | 26 | 4 | 3 | 64:21 | 82 |
| მანჩესტერი | 33 | 23 | 6 | 4 | 66:30 | 75 |
| ლივერპული | 34 | 21 | 7 | 6 | 48:22 | 70 |
| ტოტენჰემი | 33 | 16 | 10 | 7 | 48:33 | 58 |
| ბლექბერნი | 33 | 16 | 6 | 11 | 46:39 | 54 |
| არსენალი | 32 | 16 | 5 | 11 | 53:25 | 53 |
| ბოლტონი | 32 | 13 | 9 | 10 | 43:36 | 48 |
| უიგანი | 33 | 14 | 6 | 13 | 38:40 | 48 |
| ვესტ ჰემი | 33 | 13 | 7 | 13 | 48:50 | 46 |
| ნიუკასლი | 33 | 13 | 6 | 14 | 36:40 | 45 |
| ჩარლტონი | 33 | 12 | 8 | 13 | 37:42 | 44 |
| ევერტონი | 32 | 13 | 5 | 14 | 29:41 | 44 |
| სიტი | 33 | 12 | 4 | 17 | 40:40 | 40 |
| მიდლსბრო | 32 | 11 | 7 | 14 | 45:54 | 40 |
| ასტონ ვილა | 33 | 8 | 12 | 13 | 34:46 | 36 |
| ფულემი | 33 | 10 | 6 | 17 | 41:54 | 36 |
| ბირმინგემი | 33 | 7 | 8 | 18 | 25:45 | 29 |
| ვესტ ბრომვიჩი | 33 | 7 | 7 | 19 | 28:49 | 28 |
| პორტსმუთი | 32 | 7 | 7 | 18 | 29:54 | 28 |
| სანდერლენდი | 31 | 2 | 4 | 25 | 19:55 | 10 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 21 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 21 |
| დ. ბენტი (ჩარლტონი) | 16 |

### XXXIV ტური
15-16 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| ასტონ ვილა | : | ბირმინგემი |
| ბლექბერნი | : | ლივერპული |
| ბოლტონი | : | ჩელსი |
| ევერტონი | : | ტოტენჰემი |
| ფულემი | : | ჩარლტონი |
| მანჩესტერი | : | სანდერლენდი |
| ნიუკასლი | : | უიგანი |
| პორტსმუთი | : | მიდლსბრო |
| ვესტ ჰემი | : | სიტი |

### ჩემპიონატი
### XLII ტური

ლესტერი — კრ. პალასი 2:0; ბრაიტონი — საუთჰემპტონი 0:2; ბარნლი — ქუინზ პარკი 1:0; კარდიფი — რედინგი 2:5; ქრიუ — უენსდი 2:0; დერბი — მილუოლი 1:0; იფსვიჩი სტოკი 1:4; ლიდსი — პლიმუთი 0:0; პრესტონი — ნორვიჩი 2:0; შეფილდი — ჰალი 3:2; ვულვზი — ქოვენთრი 2:2; უოტფორდი — ლუთონი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რედინგი | 42 | 29 | 11 | 2 | 92:28 | 98 |
| შეფილდი | 42 | 24 | 10 | 8 | 72:44 | 82 |
| უოტფორდი | 42 | 20 | 13 | 9 | 72:50 | 73 |
| ლიდსი | 42 | 20 | 13 | 9 | 54:34 | 73 |
| პრესტონი | 42 | 17 | 19 | 6 | 52:28 | 70 |
| კრ. პალასი | 42 | 20 | 10 | 12 | 63:44 | 70 |
| ვულვზი | 42 | 14 | 18 | 10 | 46:38 | 60 |
| კარდიფი | 42 | 16 | 11 | 15 | 56:53 | 59 |
| ლუთონი | 42 | 16 | 8 | 18 | 61:62 | 56 |
| ნორვიჩი | 42 | 16 | 8 | 18 | 51:60 | 56 |
| სტოკი | 42 | 16 | 7 | 19 | 47:56 | 55 |
| ქოვენთრი | 42 | 13 | 14 | 15 | 55:62 | 53 |
| იფსვიჩი | 42 | 13 | 14 | 15 | 48:60 | 53 |
| პლიმუთი | 42 | 12 | 16 | 14 | 35:41 | 52 |
| ბარნლი | 42 | 14 | 9 | 19 | 45:52 | 51 |
| ლესტერი | 42 | 12 | 14 | 16 | 48:54 | 50 |
| საუთჰემპტონი | 42 | 10 | 19 | 13 | 42:47 | 49 |
| ქუინზ პარკი | 42 | 12 | 13 | 17 | 45:57 | 49 |
| ჰალი | 42 | 12 | 12 | 18 | 47:53 | 48 |
| დერბი | 42 | 10 | 18 | 14 | 51:61 | 48 |
| უენსდი | 42 | 10 | 12 | 20 | 33:51 | 42 |
| ქრიუ | 42 | 8 | 13 | 21 | 50:80 | 37 |
| მილუოლი | 42 | 7 | 15 | 20 | 31:55 | 36 |
| ბრაიტონი | 42 | 6 | 17 | 19 | 36:62 | 35 |

### პირველი ლიგა
### XLI ტური

ბარნსლი — ჩესტერფილდი 1:1; ბრენტფორდი — ბრედფორდი 1:1; ჯილინგემი — ჰადერსფილდი 2:0; ნოტინგემი — კოლჩესტერი 1:0; ოლდემი — დონსი 1:2; პორტ ვეილი — სუონსი 3:2; როტერჰემი — ტრანმერი 2:0; სკანთორპი — ბორნმუთი 2:2; საუთენდი — ბლეკპული 2:1; სუინდონი — ჰარტლპული 1:1; უოლსოლი — ბრისტოლი 0:3; იოვილი — დონკასტერი 3:0

### მეორე ლიგა
### XLI ტური

ნორთჰემპტონი — როჩდეილი 2:2; ბარნეტი — ნოტსი 2:1; როვერსი — რაშდენი 0:1; ბერი — პიტერბრო 1:3; კარლაილი — გრიმსბი 1:0; ჩელტენემი — სტოკპორტი 3:3; ლეიტონი — ბოსტონი 2:0; ლინკოლნი — მენსფილდი 1:1; მაკლსფილდი — უიკომბი 2:1; ოქსფორდი — ჩესტერი 0:1; ტორკი — დარლინგტონი 1:2; რექსემი — შრიუსბერი 1:2

### კონფერენსლიგა
### XXXVIII ტური

ფორესტ გრინი — აკრინგტონი 1:1; ალდერშოტი — კემბრიჯი 1:3; ალტრინჩემი — გრეივსენდი 2:2; ქროული — ბარტონი 1:1; ჰალიფაქსი — სოთპორტი 2:1; ჰერეფორდი — დაგენემი 1:1; მორეკემბი — უოქინგი 3:1; სტივენეიჯი — სკარბორო 2:0; ტემუორთი — ქონვი 1:0; იორკი — კიდერმინსტერი 2:2

## გერმანია
### ბუნდესლიგა XXIX ტური

**დუისბურგი 1:1 შალკე**
1:0 პოულსენი (39ს.კ.), 1:1 ლარსენი (85)
დუისბურგი: გ. კოხი, მიორლე, ბილიშკოვი, ბელუმი (ტიკუზუ 28), ბუგერა, ტარარახე, ვილი, ვან ჰუდტი, კურტი, აჰანფუფი (ანი 78), ლავრიჩი
მწვრთნელი: ჰაიკო შოლცი
შალკე: ფ. როსტი, ჰამიტ ალტინტოპი, ბორდონი დ. როდრიგესი, კრსტაიჩი, კ. პოულსენი, აზაუაგი (ლარსენი 46), ბაირამოვიჩი (სანდი 78), ლინკოლნი, კურანი, ასამოა
მწვრთნელი: მირკო სლომკა
გაფრთხილება: მიორლე, კურტი, ალტინტოპი, პოულსენი, ბაირამოვიჩი, ასამოა
მსაჯი: ვაკი
31 500 მაყურებელი

**კიოლნი 3:0 ვოლფსბურგი**
1:0 შერცი (77), 2:0 ჰელმესი (78), 3:0 შარპეი (81ს.კ.)
კიოლნი: ბადე, კულმანი, სინკევიჩი, ალფაი, მატიპი, ევანილსონი (რანი 46), ფიულნერი (ჰელმესი 62), კაბანასი, ა. შტრაიტი (ეპშტეინი 73), პოდოლსკი, შერცი
მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ლატური
ვოლფსბურგი: იენჩი, კიროგა, შნოორი, ვან დერ ჰიდენი, მენსეგეში (ლამპრეხტი 71), კარჰანი, ტიამი, შარპეი, მ. ხრისტოვი, ჰანკე (მარლე 64), ჰუგენდორპი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: კაბანასი, კიროგა, ჰუგენდორპი, იენჩი
მსაჯი: შტარკი
43 500 მაყურებელი

**ვერდერი 3:0 ბაიერნი**
1:0 შვაინშტაიგერი (33ს.კ.), 2:0 იენსენი (79), 3:0 ბოროვსკი (83)
ვერდერი: ვიზე, პასანენი, ფარენჰორსტი, ნალდო, კ. შულცი, ვრანიეში, ოვომოიელა (ლ. ანდრეასენი 87), ბოროვსკი, მიკუ (დ. იენსენი 57), კლოზე, ნ. ვალდესი (კლასნიჩი 75)
მწვრთნელი: თომას შააფი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ისმაელი, დემიკელისი, ლამი, ჰარგრივსი, სალიჰამიჯიჩი (ზე რობერტო 46), შვაინშტაიგერი (პ. გერერო 80), ბალაკი, მაკაი, კ. პიზარო (სანტა კრუზი 80)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ბოროვსკი, შულცი, ვრანიეში, ლამი, ჰარგრივსი, სანიოლი
მსაჯი: მერკი
42 100 მაყურებელი

**ჰამბურგი 2:0 მიონხენგლადბახი**
1:0 ვან დერ ვაარტი (34პ), 2:0 ტაკაჰარა (90)
ჰამბურგი: კირშტაინი, მაჰდავიკია, ბულარუზი, ბ. რაინჰარდტი, ატუბა, დემელი, იაროლიმი, ვან დერ ვაარტი (ტროხოვსკი 70), ბარბარესი, ლაუტი (კარლი 90), აილტონი (ტაკაჰარა 81)
მწვრთნელი: თომას დოლი
მიონხენგლადბახი: კ. კელერი, ფუკალი, ზე ანტონიო, შტრასერი, დაემსი (სონკი 70), პოლანსკი (ტიისი 86), ბროიხი (ელ ფაკირი 62), კ. იანსენი, რაფაელი, კაე, ნოივილი
მწვრთნელი: ჰორსტ კოეპელი
გაფრთხილება: ლაუტი, დაემსი, ნოივილი
მსაჯი: კირხერი
57 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:2 ლევერკუზენი**
0:1 ბერბატოვი (22), 1:1 ბრჟენსკა (27), 1:2 ფრაიერი (50)
დორტმუნდი: გენტენაარი, კრინგე, ბრჟენსკა, ვიორნსი, დედე, კელი, როსიცკი, ნ. საჰინი (პ. დეგენი 64), შმოლარეკი (ოდონკორი 64), ბაკლი, მ. ამოა
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
ლევერკუზენი: ბუტი, კ. ფრიცი, ჟუანი, ნოვოტნი, შტენმანი, რამელო (კასტრო 75), როლფსი, ბ. შნაიდერი (მადუნი 90), ფრაიერი (ბაბიჩი 78), ბარნეტა, ბერბატოვი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: ბარნეტა, შნაიდერი
მსაჯი: პერლი
73 800 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:0 ნიურნბერგი**
1:0 ტომასონი (80)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, ფ. მეირა, სოლდო (კაკაუ 70), მანინი, მაისნერი (გენტნერი 60), ჰიცლშპერგერი, ტიფერტი, გრონკიაერი, ტომასონი, ლიუბოია (გომეში 57)
მწვრთნელი: არმინ ფეჰ
ნიურნბერგი: რ. შეფერი, ნიკლი, კანტალუპი, გლაუბერი, მნარი, დ. რაინჰარდტი, პინოლა, პოლაკი (ბანოვიჩი 81), ვიტეკი, შროტი (კესლინგი 54), საენკო (ა. ვოლფი 64)
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: მეირა, გლაუბერი, ტიფერტი, კანტალუპი, გლაუბერი
გაძევება: გლაუბერი (62)
მსაჯი: ვაგნერი
37 000 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 0:2 ჰერტა**
0:1 პანტელიჩი (14), 0:2 ჟილბერტო (26)
კაიზერსლაუტერნი: ფრომლოვიცი, ჰერჩი, ბედა (ზანდი 46), შიონჰაიმი, ლემბი, რაინერტი (ჰალფარი 64), ენგელარდტი (სანოგო 39), შკელა, ბელინგჰაუზენი, მიკიჩი, ჰალილ ალტინტოპი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ჰერტა: ფიდლერი, ო. შრიოდერი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ფატი, ჩაჰედი, კ. ბოატენგი (ნ. კოვაჩი 86), ბაშთურქი, ჟილბერტო, პანტელიჩი (სვერკოში 84), მარსელინიო (ნოინდორფი 66)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: ბედა, ჰალფარი, ბაშთურქი
მსაჯი: შიპელი
35 255 მაყურებელი

**მაინცი 0:0 ჰანოვერი**
მაინცი: ვეტკლო, დემირტასი, მ. ფრიდრიხი (ვაიგელტი 18), ნოვესკი, როსე, პეკოვიჩი, ო. ადო (რუმანი 67), და სილვა, ტურკი, კეისი, აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი, ტარნატი, ლალა, ბალიტჩი, დაბროვსკი, შტაინერი (შრიოტერი 87), ჰაშემიანი (რიკარდუ სოუზა 62), ბრდარიჩი (დელურა 81)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ტურკი, დაბროვსკი, ჰაშემიანი, რიკარდუ სოუზა
მსაჯი: გრეფე
20 300 მაყურებელი

**არმინია 1:0 აინტრახტი**
1:0 ვესტერმანი (68)
არმინია: ჰაინი, კორჟინეცი, ვესტერმანი, გაბრიელი, შულერი, კაუფი, ფინკი, კუჩერა, ვატა (დალოვიჩი 81), მასმანიდისი (ზუმა 90), ვიშნიარეკი (პინტო 46)
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
აინტრახტი: ნიკოლოვი, პ. ოხსი, რუსი, ვასოსკი, შპიხერი, ჰუგელი, ჩიმენი (სტროხ-ენგელი 76), კიოლერი, ვაისენბერგერი (ლექსა 80), კოპადო, ა. მეიერი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: კაუფი, ვატა, კიოლერი, დალოვიჩი, ჰუგელი, სტროხ-ენგელი, კიოლერი
გაძევება: კიოლერი (90)
მსაჯი: გაგელმანი
22 998 მაყურებელი

# ბაიერნი უკვე ჩემპიონია?



კანის ქომაგების პლაკატი წარწერით: „კლინსი გაეთრიე“

**ერთი** ქულა, ორი გატანილი და ხუთი გაშვებული — ასეთია „ბაიერნის“ მონაგარი ბოლო ორ ტურში, გუნდისა, რომელიც სამი კვირის წინ უკვე ჩემპიონად იყო შერაცხული. ამ სეზონში სამბურთიანი სხვაობით „ბაიერნმა“ მეორედ წააგო. პირველად სტუმრად „მილანთან“, ახლა კი ბრემენში, თუმც „ვერდერისგან“ გაშვებულ გოლებში ოლივერ კანს ბრალი არ მიუძღვის. მიუხედავად იმისა, რომ პარასკევს კლინსმანმა ლემანი ნაკრების პირველ ნომრად დაასახელა, რაც კანს, ცხადია, ეწყინა, „ბაიერნის“ მეკარეს „ვერდერთან“ მატჩში ურიგოდ არ უთამაშია. მიუნხენელთა მენეჯერი ული ჰიონესი კი კლინსმანს გადასწვდა: „ნაკრების მწვრთნელს შეეძლო, ორი დღე მოეცადა და კვირა დილით გამოეცხადებინა პირველი მეკარის ვინაობა. „ვერდერთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ ასეთი განცხადების გაკეთება არაკორექტულია“. ხოლო იურგენ კლინსმანი „ვერდერის“ სტადიონის ტრიბუნაზე იჯდა და თამაშს უყურებდა.

ოლივერ კანმა ორჯერ იხსნა სტუმრები, სანამ ბასტიან შვაინშტაიგერი საკუთარ კარში გაიტანდა. „ბაიერნის“ ნახევარმცველს ბურთის კუთხურზე გადაგდება უნდოდა, მაგრამ გოლი გამოუვიდა. მასპინძელთა მეორე გოლამდე მიუნხენელებს ჰქონდათ მომენტები და ერთხელ მიხაელ ბალაკმა ძელს გაარტყა ბურთი. შეხვედრის დასრულებამდე 11 წუთით ადრე კლოზეს პასით იენსენმა შეაგდო, რომლისთვისაც ეს პირველი გოლი გამოდგა ბუნდესლიგაში, ბოლოს კი ბოროვსკიმ საჯარიმოს ხაზიდან გაიტანა.

„ბრემენში „ვერდერთან“ წაგება სირცხვილი არაა. ცხრილის თავში კვლავაც ჩვენ ვართ“ — თავი დაიმშვიდა ფელიქს მაგათმა.

ამ წელს ასე ახლოს „ბაიერნთან“ არავინ მისულა — მიუნხენელები ოთხი ქულითღა უსწრებენ „ჰამბურგს“, რმოელმაც გლადბახელები დაამარცხეს. ბუნდესლიგის დასრულებამდე ხუთი ტური რჩება და ყველაზე საინტერესოც, ალბათ, ახლა იწყება. ფელიქს მაგათმა თომას დოლის სუნთქვა იგრძნო.

„ბაიერნთან“ მიუნხენური ფრის შემდეგ „კიოლნი“ მოყოჩაღდა და „ვოლფსბურგი“ დაამარცხა. გოლები კი „თხებმა“ მეორე ტაიმის ოთხწუთიან მონაკვეთში შეყარეს. მატიას შერცმა მეკარის მოგერიებულს დაამატა და ანგარიში გახსნა, შემდეგ ჰელმესმა შეაგდო თხუთმეტიოდ მეტრიდან, ხოლო სტუმართა შარპეიმ საკუთარ კარში გაიტანა. ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე „კიოლნს“ ბუნდესლიგაში დარჩენის შანსი გაუჩნდა, „ვოლფსბურგი“ კი ქვევით მიექანება.

ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო ლევერკუზენის „ბაიერმა“ და მეექვსე ადგილს უწია. ლევერკუზენელები დორტმუნდში დიმიტარ ბერბატოვის გოლით დაწინაურდნენ, თუმც ხუთიოდ წუთში ბრჟენსკამ თავურით გაქვითა. მეორე ნახევრის დასაწყისში მცველთა ჩათვლემით ისარგებლა პაულ ფრაიერმა და სტუმართა გამარჯვებისა გაიტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**


ოლივერ კანს სამი გოლი გაუტანეს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 29 | 20 | 6 | 3 | 56:25 | 66 |
| ჰამბურგი | 29 | 19 | 5 | 5 | 47:22 | 62 |
| ვერდერი | 29 | 18 | 5 | 6 | 65:32 | 59 |
| შალკე | 29 | 14 | 11 | 4 | 40:26 | 53 |
| ჰერტა | 29 | 11 | 10 | 8 | 44:37 | 43 |
| ლევერკუზენი | 29 | 11 | 8 | 10 | 51:43 | 41 |
| შტუტგარტი | 29 | 8 | 15 | 6 | 29:27 | 39 |
| დორტმუნდი | 29 | 9 | 10 | 10 | 37:36 | 37 |
| გლადბახი | 29 | 9 | 10 | 10 | 33:39 | 37 |
| არმინია | 29 | 10 | 7 | 12 | 29:35 | 37 |
| ჰანოვერი | 29 | 7 | 14 | 8 | 35:37 | 35 |
| ნიურნბერგი | 29 | 9 | 7 | 13 | 36:42 | 34 |
| აინტრახტი | 29 | 8 | 6 | 15 | 37:46 | 30 |
| მაინცი | 29 | 7 | 8 | 14 | 40:45 | 29 |
| ვოლფსბურგი | 29 | 6 | 11 | 12 | 28:47 | 29 |
| ლაუტერნი | 29 | 7 | 6 | 16 | 39:63 | 27 |
| კიოლნი | 29 | 5 | 8 | 16 | 41:60 | 23 |
| დუისბურგი | 29 | 4 | 11 | 14 | 28:53 | 23 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კლოზე (ვერდერი) | 20 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 16 |
| ჰალილ ალტინტოპი (ლაუტერნი) | 16 |
| მაკაი (ბაიერნი) | 14 |
| შმოლარეკი (დორტმუნდი) | 13 |
| ბალაკი (ბაიერნი) | 12 |

### XXX ტური
15-16 აპრილი

| | |
|---|---|
| ვოლფსბურგი | ვერდერი |
| ბაიერნი | არმინია |
| აინტრახტი | მაინცი |
| ჰანოვერი | შტუტგარტი |
| ნიურნბერგი | ლაუტერნი |
| ჰერტა | დორტმუნდი |
| ლევერკუზენი | გლადბახი |
| შალკე | კიოლნი |
| დუისბურგი | ჰამბურგი |

### მეორე ბუნდესლიგა
XXIX ტური

ბოხუმი — ზიგენი 3:1; ბრაუნშვაიგი — ალემანია 0:1; ოფენბახი — აუე 2:1; ალენი — კოტბუსი 0:1; ფრაიბურგი — პადერბორნი 1:0; ფიურტი — უნტერჰახინგი 2:0; ჰანზა — ზაარბრიუკენი 3:0; მიუნხენი — ბურგჰაუზენი 1:1. *დინამო — კარლსრუე დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალემანია | 29 | 19 | 4 | 6 | 56:29 | 61 |
| ბოხუმი | 29 | 17 | 8 | 4 | 49:21 | 59 |
| კოტბუსი | 29 | 14 | 8 | 7 | 43:29 | 50 |
| ფიურტი | 29 | 13 | 8 | 8 | 46:38 | 47 |
| კარლსრუე | 28 | 13 | 7 | 8 | 40:34 | 46 |
| ფრაიბურგი | 29 | 13 | 6 | 10 | 35:30 | 45 |
| ჰანზა | 29 | 13 | 4 | 12 | 41:38 | 43 |
| ბურგჰაუზენი | 29 | 10 | 10 | 9 | 35:42 | 40 |
| აუე | 29 | 10 | 9 | 10 | 32:33 | 39 |
| პადერბორნი | 29 | 10 | 7 | 12 | 37:30 | 37 |
| უნტერჰახინგი | 29 | 11 | 4 | 14 | 39:40 | 37 |
| ბრაუნშვაიგი | 29 | 11 | 4 | 14 | 32:37 | 37 |
| მიუნხენი | 29 | 9 | 9 | 11 | 37:37 | 36 |
| ოფენბახი | 29 | 9 | 6 | 14 | 31:50 | 33 |
| ზაარბრიუკენი | 29 | 9 | 5 | 15 | 34:56 | 32 |
| ალენი | 29 | 7 | 7 | 15 | 31:44 | 28 |
| დინამო | 28 | 7 | 6 | 15 | 27:40 | 27 |
| ზიგენი | 29 | 6 | 6 | 17 | 29:46 | 24 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXX ტური

ლევერკუზენი (მ) — ემდენი 1:0; ქემნიცი — ჰამბურგი (მ) 3:0; ჰერტა (მ) — ერფურტი 1:0; კილი — კიოლნი (მ) 5:1; ობერჰაუზენი — დიუსელდორფი 0:2; ოსნაბრიუკი — ესენი 1:4; მიუნსტერი — ვერდერი (მ) 0:1; ვუპერტალი — ლიუბეკი 2:1; კარლ ცაისი — ზანკტ პაული 1:0

### სამხრეთ რეგიონალლიგა
XXV ტური

მიუნხენი (მ) — ვეჰენი 0:0; აუგსბურგი — ბაიერნი (მ) 1:0; დარმშტადტი — კაიზერსლაუტერნი (მ) 2:1; ელვერსბერგი — ჰოფენჰაიმი 0:1; ეშბორნი — აალენი 0:3; კარლსრუე (მ) — ტრირი 1:0; კობლენცი — კიკერსი 1:0; ბაიროითი — პფულენდორფი 2:0; შტუტგარტი (მ) — რეგენსბურგი 1:0



# ფეხბურთელებო, გამაზეთ... დოლზე

**ინგლისის** ნაკრების მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა თავისი ფორვარდი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ 20 წლის ვარსკვლავი უეინ რუნი მამაშვილურად უნდა დაარიგოს. მიზეზი: გუშინდელ „სანდი მირორში“ ეწერა, რომ რუნის დიდძალი ფული აქვს წაგებული.

ასეა მართლა? ფეხბურთის ასოციაციის ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ ამ ორგანიზაციისთვის ნაკრების შიდა პრობლემებზე არაფერია ცნობილი. ფეხბურთის ასოციაციის კომუნიკაციათა დირექტორმა ადრიან ბევინგტონმა თქვა: „ეჭვი არ გვეპარება, რომ სვენ გორან ერიკსონი მოთამაშეებს დაელაპარაკება და ტყუილსა და მართალს გაარკვევს“.

და მაინც, რა ეწერა „სანდი მირორში“? რუნიმ, რომლის ხელფასიც კვირაში 50 ათასი გირვანქაა, ხოლო სპონსორული ხელშეკრულებებიდან სულ მთლად მილიონები შესდის, ისევე, როგორც ინგლისის ნაკრების სხვა ფეხბურთელებმა, ტოტალიზატორში თამაში ცხოვრების წესად იქციესო.

„ამ ბრალდებასთან დაკავშირებით ჩვენ სათქმელი არაფერი გვაქვს“ — განაცხადა პასუხად რუნის წარმომადგენელმა.

ადრიან ბევინგტონი: „სვენის ხელმძღვანელობით ინგლისის ნაკრები ერთსულოვან, შეკრულ გუნდად გადაიქცა, რასაც თავად ფეხბურთელები საჯაროდ მალიმალ ადასტურებენ. ამ ერთსულოვნების დასტური გახლავთ ისიც, რომ ინგლისის ნაკრები ზედიზედ სამი შესარჩევი ციკლია იმარჯვებს და შეჯიბრების ფინალურ ეტაპზე გადის. აუცილებლად უნდა განვაცხადოთ, რომ ყველა, ვინც ჩვენს ასოციაციასთან და ეროვნულ გუნდთან არის დაკავშირებული, გერმანიაში წარმატების მისაღწევად ემზადება, თუმცა იმასაც დავძენთ, რომ ჩვენ შევეცდებით, შევწყვიტოთ ტოტალიზატორში ფეხბურთზე ფსონების დადების ყველა კერძო შემთხვევა, დოლებზე ფსონის ჩასვლას კი ვერაფერს მოვუხერხებთ, რადგან ამას ფეხბურთელებს წესი არ უკრძალავს“.

**პაპუნა ძიდია**

# დიდი ფილის უდიდესი რამ



**დიდი ფილი** ანუ ლუიშ ფელიპე სკოლარი, იგივე ფელიპაო, კვლავ ინგლისის ნაკრების შესაძლო მომავალ მწვრთნელად მიიჩნევა. გაზეთი „სან სპორტი“ ამტკიცებს, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონის ბრაზილიის ნაკრების თავკაცი, დღეს კი პორტუგალიის ეროვნული გუნდის შეფი ინგლისის ფეხბურთის ფედერაციას შორთლისტში ჰყავს შეყვანილი. როგორც ამბობენ, მის კანდიდატურას „არსენალის“ ვიცე-თავმჯდომარე და ნაკრების მწვრთნელის მაძიებელი ჯგუფის წევრი დეივიდ დინი უჭერს მხარს.

მოგეხსენებათ, ინგლისელებს თანამემამულეთა შორისაც ჰყავთ შეგულებული კანდიდატები: სემ ალარდაისი, ალან კერბიშლი და სტივ მაკლარენი.

აღსანიშნავია, რომ ხუთი წლის წინ სვენ გორან ერიკსონის მიწვევაც დინის სახელთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება ფეხბურთის ასოციაციის შეფს ბრაიან ბარვიკს, მისი ფავორიტი ონილია.

„ინგლისის ნაკრების გაძღოლა უდიდესი რამ იქნებოდა. მე 57 წლის კაცი ვარ და ამბიციები არ მაკლია. ბრაზილიელ ვარსკვლავებთან ურთიერთობა და საქმისთვის თავის მობმა უძნელესი საქმეა და მგონია, ბექჰემის, ოუენის, რუნისა და ტერის შეფობა უფრო იოლი უნდა იყოს“ — განაცხადა თავად ფელიპაომ.

**პაპუნა ძიდია**

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი XXXII ტური

**ვალვაიკი 0:2 ჰერაკლესი**
0:1 კუანსა (54), 0:2 ტამერუსი (77)

**სპარტა 5:0 როზენდალი**
1:0 ემნესი (33), 2:0 ცვეტკოვი (46), 3:0 როსე (60), 4:0, 5:0 ოოსტი (68პ, 84)

**ბრედა 2:1 ნაიმეგენი**
0:1 ბუტაჰარი (1), 1:1 დიბა (15), 2:1 ლეონარდო (55)

**ჰერენვენი 1:1 ფეიენოორდი**
1:0 ტარვაჯერვი (49), 1:1 ვან ჰოიდონკი (79)

**აიაქსი 1:0 ალკმაარი**
1:0 ბუხარი (33)

**ტვენტე 2:0 დენ ჰააგი**
1:0 ტოუმა (71), 2:0 ნკუფო (84)

**პსვ 1:1 გრონინგენი**
0:1 ნევლანდი (41), 1:1 ფარფანი (47)

**ვიტესი 1:0 უტრეხტი**
1:0 იუნკერი (13)

**ტილბურგი 2:2 როდა**
1:0 რედანი (6), 1:1 კრისტიანო (19), 2:1 ა. შმიტი (40), 2:2 რუდგე (65)

### II დივიზიონი XXXVIII ტური

კამბური — დენ ბოსხი 1:0; ზვოლე — გრააფსხაპი 2:3; სიტარდი — ექსელსიორი 1:1; ოსი — ვოლენდამი 1:2; ტელსტარი — აპელდორნი 3:1; ჰელმონდი — ვეენდამი 0:2; ჰაარლემი — მაასტრიხტი 0:0; ალმერე — დორდრეხტი 2:4; ვენლო — იგლსი 3:0; ემენი — ეინდჰოვენი 3:1



**პსვ-ს ძულაც** ეყო ჩემპიონობის ნაადრევად გასანაღდებლად. გუნდმა მიჯრით მესამედ მოიგო ჰოლანდიური ოქრო, გუს ჰიდინკი კი სეზონის ბოლოს მიდის. „სეზონის დასაწყისში ფავორიტად არავინ მიგვიჩნევდა. მეც არ მეგონა, რომ ჩემპიონობას შევძლებდით, რადგან ბევრი ძლიერი ფეხბურთელი გავყიდეთ და მით უფრო ძვირფასია ჩემთვის ეს ტიტული“ — განაცხადა მწვრთნელმა, რომელიც ავსტრალიასაც თავკაცობს და მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, ალბათ, რუსეთის ნაკრებს ჩაიბარებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 32 | 25 | 5 | 2 | 64:20 | 80 |
| ალკმაარი | 32 | 22 | 4 | 6 | 74:30 | 70 |
| ფეიენოორდი | 32 | 20 | 7 | 5 | 76:33 | 67 |
| უტრეხტი | 32 | 16 | 7 | 9 | 46:38 | 55 |
| აიაქსი | 32 | 16 | 6 | 10 | 60:38 | 54 |
| გრონინგენი | 32 | 15 | 7 | 10 | 43:41 | 52 |
| ჰერენვენი | 32 | 14 | 8 | 10 | 58:50 | 50 |
| ნაიმეგენი | 32 | 13 | 7 | 12 | 42:39 | 46 |
| ტვენტე | 32 | 13 | 6 | 13 | 43:35 | 45 |
| როდა | 32 | 13 | 5 | 14 | 52:53 | 44 |
| ვიტესი | 32 | 13 | 4 | 15 | 50:51 | 43 |
| ვალვაიკი | 32 | 11 | 6 | 15 | 44:51 | 39 |
| ჰერაკლესი | 32 | 10 | 6 | 16 | 30:54 | 36 |
| ბრედა | 32 | 8 | 9 | 15 | 41:56 | 33 |
| დენ ჰააგი | 32 | 9 | 5 | 18 | 34:59 | 32 |
| სპარტა | 32 | 8 | 7 | 17 | 29:48 | 31 |
| ტილბურგი | 32 | 5 | 7 | 20 | 37:62 | 22 |
| როზენდალი | 32 | 1 | 6 | 25 | 21:86 | 9 |

# მუსლინმა დეპოში გაუშვია

## რუსეთი

### პრემიერლიგა. IV ტური

**ცსკა 2:0 ტომი**
1:0, 2:0 ჟო (20, 41პ)

**მოსკვა 2:1 ლუჩ-ენერგია**
0:1 ა. ივანოვი (25), 1:1 კირიჩენკო (64პ), 2:1 ადამოვი (86)

**სატურნი 3:0 შინიკი**
1:0 ობჟერა (8), 2:0 იაკუბკო (59), 3:0 გოგნიევი (90)

**როსტოვი 1:1 ტორპედო**
1:0 პერესი (54), 1:1 პანოვი (66)

**ამკარი 3:2 დინამო**
1:0 ვოლკოვი (36), 2:0 კუშევი (75), 2:1 სემშოვი (76), 3:1 ჩერენჩიკოვი (78), 3:2 რომაშჩენკო (84)

**კრილია 3:2 ზენიტი**
0:1 კერჟაკოვი (9პ), 1:1 მედვედევი (13), 2:1, 3:1 დ. მუჯირი (18პ, 43პ), 3:2 კერჟაკოვი (86)

**სპარტაკი (მ) 2:1 ლოკომოტივი**
0:1 პავლიუჩენკო (7ს.კ.), 1:1 ბისტროვი (24), 2:1 ტიტოვი (69)

**სპარტაკი (ნ) 3:1 რუბინი**
1:0 ლონგო (20), 1:1 ვასილიევი (38), 2:1 კორჩალინი (57), 3:1 პოროშინი (86)



მუსლინის „ლოკომოტივს“ მოგება ენატრება

**მოსკოვის** ცსკა-მ ამ სეზონის სიურპრიზად მონათლული „ტომი“ დაამარცხა და პირველ ადგილზე აინაცვლა. არმიელებმა ტომსკელებს პირველივე ტაიმში მოუმთავრეს საქმე და მიუხედავად იმისა, რომ ვალერი პეტრაკოვის შეგირდები ბევრს ეცადნენ, გატანა ვერ შეძლეს.

კვლავ გამოიჩინა თავი არმიელთა ბრაზილიელმა ჟომ. 19 წლის ფორვარდმა მე-20 წუთზე ძალიან ლამაზი გოლი შეაგდო, როდესაც პარეიკოს ბურთი თავზე გადაავლო. ხოლო პირველი ტაიმის მიწურულს ჟო კლიმოვმა წააქცია და ბრაზილიელმა თავადვე შეასრულა პენალტი. 4 ტურის მერე 6 გოლით ჟო ბომბარდირებში ერთპიროვნული ლიდერია.

